

619
1972



საქართველო

№ 11 ნოემბერი 1972



კონსტანტინე გამსახურდია (80 წლის შესრულების გამო). ფოტო და მძინარე შვალის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეკოე

№ 11 (432) ნოემბერი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ
პოლიტიკური და სალიბერალური
სამხატვრო ჟურნალი

საქსთა დიადი თანაუფროსობა



საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთობის, მეგობრობისა და ძმობის დიადი დღესასწაულია. საბჭოთა კავშირის შექმნა და განმტკიცება წარმოადგენს მთელი კაცობრიობის სოციალური წინსვლისა და პროგრესის უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტს.

მსოფლიო ისტორიამ არ იცის მრავალი ერის მიზნებისა და ინტერესების ისეთი ერთობლიობა, ისეთი სულიერი ნათესაობა, როგორც ახსიათებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. 180-ზე მეტი ერისა და ეროვნების პოლიტიკურმა და ეკონომიურმა თანასწორობამ წარმოქმნა ხალხთა ურთველი მეგობრობა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უმძლავრეს მონოლითურ სახელმწიფოდ გადააქცია.

სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ერთობლივ შრომაში, სოციალისტურ ბრძოლაში, მისი დაცვისათვის ბრძოლაში წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნების ახალი, მარშონიული ურთიერთობა — მეგობრობისა და თანაშრომლობის ურთიერთობა. ჩვენი ადამიანები შედუღაბებულნი არიან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთობით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მაღალი მიზნების ერთობით. ამ მონოლითურ შეკავშირებას მრავალრიცხოვანი საბჭოთა ხალხი ცხადყოფს თავისი შრომით, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთსულოვანი მოწოდებით“.

თავისი სოციალურ-კლასობრივი არხით ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის — ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, კულტურის მუშაკთა ინტერნაციონალურ კავშირს. მრავალრიცხოვანი საბჭოთა ხალხი ერთიანია იმიტომ, რომ მას აქვს საერთო სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ბაზა, საერთო იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო მიზანი — კომუნისმის აშენება. ამავე დროს თავის ეროვნულ პოლიტიკაში კომუნისტური პარტია გამოიმდინარეობს იმ ლენინური დებულებიდან, რომ სოციალიზმი არა მარტო არ სპობს ეროვნულ განსხვავებას და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას.

სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირის საზოგადოებრივ მოსაო ის ფესვები, რომლებიც ახაზრდობდნენ ეროვნულ შუღლსა და მტრობას. კაპიტალისტურ ქვეყნებში ეროვნული მტრობისა და სიძულვილის გავრცელებით დანტერესებული ექსპლოატატორული კლასები ყოველთვის გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან მშრომელი მასების ინტერნაციონალური შეკავშირების წინააღმდეგ. ისინი სხვადასხვა საშუალებას იყენებენ იმისათვის, რომ მათი შეგნება მოწოდონ შოკინიზმისა და ნაციონალიზმის შხამით; ჩვენში ექსპლოატატორული კლასებისა და ექსპლოატაციის წარმომშობი მიზეზების ლიკვიდაციამ არსებითად შეცვალა ერების ურთიერთობა, თვით მათი შინაგანი წყობა. ისინი საბოლოოდ ჩამოუალიდნენ როგორც სოციალისტური ერები, რომელთა ძირეული თვისებებია პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და მეგობრობა.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სიმტკიცის მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამშულო ომი.

საბჭოთა ხალხმა მედგრად დაიცვა სოციალისტური სამშობლო, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი. ეს იყო უმაგალითო, მასობრივი, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამბრძობა.

მოსისხვე მტერი რომ დაამარცხა, სსრ კავშირი შეუდგა მშვიდობიანი მშენებლობის გეგმების შემდგომ განხორციელებას. ფერფლიდან და ნანგრევებიდან ადღა 70 ათასზე მეტი ქალაქი და სოფელი. შენდებოდა ახალი ქარხნები და ფაბრიკები, გამოცოცხლდნენ მიტლერელების მიერ გაძარცვული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. უკვე 1948 წელს მიღწეულ იქნა სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე. წარმოების მოცულობა ჩვენს ქვეყანაში ახლა უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია და იტალია ერთად.

სერიოზული წარმატებანი იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. არსებითად გადაიდა მარცვლულის, ბამბის, ხორცის, რძის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტის წარმოება, განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და ეკონომიური სტიმულირების დიდი ღონისძიებანი.

მატერიალური წარმოების ზრდის შედეგია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და პენსიები, შემცირდა სამუშაო კვირა, გაჩაღდა მასობრივი საბინაო მშენებლობა.

სსრ კავშირის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილება ყველა მშრომელს უქმნის ცხოვრების მაღალი დონისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პირობებს. საბჭოთა ადამიანები უზრუნველყოფილნი არიან ისეთი უფლებებით, რომლებიც არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს. საბჭოთა კონსტიტუცია არა მხოლოდ აცხადებს მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებებს, არამედ, რაც მთავარია, უზრუნველყოფს ამ უფლებათა განხორციელებას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად ყველა საბჭოთა ხალხმა მიადწია სამეურნეო და კულტურული განვითარების მაღალ დონეს. ახლა, მაგალითად, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა იძლევა ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ნავთობის, ავტომობილების, ცემენტის ოთხ მეხუთედზე მეტს, ხოლო უკრაინა — თუჩის წარმოების ნახევარს, ფოლადისა და ნაგლინის 40 პროცენტზე მეტს. საქვეყნოდ გაითქვა სახელი ბელორუსულმა ტრაქტორებმა და ავტომანქანებმა, ლითონსაქრემმა ჩარხებმა და ავტომატურმა ხაზებმა.

თუ რევოლუციამდელი საქართველო იყო აგრარული, წვრილგლეხური მხარე, ვ. ი. ლენინის სიტყვებით „კიდევ უფრო გლეხური, ვიდრე რუსეთი“, ახლა მის სახალხო მეურნეობას და კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. მხარეს, სადაც წინათ ყველაფერი, ნემსიც კი შემოქონდათ, ახლა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გააქვს ასზე მეტი სახელწოდების სამრეწველო პროდუქცია, კერძოდ, ურთულესი მანქანები და მოწყობილობა.

ღრმა სოციალური გარდაქმნები მოხდა ქართულ სოფელშიც. შეიქმნა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელმაც გაიზარა გზა ხის კავიდან ჩაის საკრეფ მანქანამდე. რესპუბლიკას ერთ-ერთი პირველი წამყვანი ადგილი უჭირავს ყურძნისა და ციტრუსოვანთა, თამბაქოსა და ჩაის, ტუნგოს ზეთისა და მალახარისხოვანი ღვინოების საერთო-საკავშირო წარმოებაში.

საქართველოს მეცნიერებამ და კულტურამ განვითარების ახალ მწვერვალზე მიადწია. ქართველი მეცნიერები დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში, აქ შეიქმნა მათემატიკური, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო სკოლები, რომლებიც საბჭოური მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ.

უკანასკნელ წლებში გადაიდა ახალი ნაბიჯები ყველა მოქმე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების, სსრ კავშირის ერთა და ეროვნებათა თანდათანობით დაახლოების გზაზე. ეს დაახლოება მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა გულდაგულ გათვალისწინების პირობებში. როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის საერთო ინტერესების, ისევე მასში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება — ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ განსაზღვრა პოლიტიკური ხაზი და მუშაობის კონკრეტული პროგრამა მარტივი ხუთწლიური განვითარების მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპებით, მისი ეფექტიანობის ამაღლებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

კომუნისტური მშენებლობის პროცესში სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა. სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვი-

71831

საქ. სსრ კ. მარქსის
მბ. ხბ. რესპუბლიკის
მინისტრობა

გურჯაანი მუხრანის ტოპოგრაფი

მატარებელი თბილისის სადგურიდან დაიძრა და გეზი სამხრეთისაკენ აიღო.

ორნახევარი საათის შემდეგ ჩვენ უკვე სომხეთში ვიყავით... ღორის ხეობა. მარჯვნივ და მარცხნივ აწივდნენ მთების შორის მოსჩქეფს ანაკარა მდინარე დებედი, რომელსაც არაერთი პოეტი მოუხიბლავს.

მდინარის სანაპიროებს ზემოთ, ხეობის მიუვალ მთიან ორწოხეში პატარა სოფლებია შეხიზნული.

...უკვე შუალაშვი, ძილის დროა, მაგრამ რა დამაძინებს. ვღაგავარ სარკმელთან, გავაძვიცებით ვათვლიერებ ილიჩის ლამპონებით გაჩირადდებულ არემარეს. მაგონდება 1907 წელი, როცა პირველად მომიხდა მოგზაურობა ამ ხეობაში: მაშინ იგი გახვეული იყო შავ-ბნელ წყვილიაღში, აქ მაშინ ნამდვილი ჭოჭოხეთი იყო.

რაოდენ სატანჯველი გამოიარა სომხეთის ხალხმა ჯერ თვითმპყრობელი რევოლუციის მოხილვებისა და მერე დაშინების სისხლიანი ბატონობის წლებში! ამას ზედ ვმატებოდა თურქი დამპყრობლების თარეში. არასოდეს დამავიწყდება საცოდავი ღტობილები, მტრის იათაღის რომ გადაურჩნენ და გამოიქცნენ. მათი ხვედრი შიმშილით სიკვდილი იყო. ერევნის ქუჩებში ათასნაირი სენით გათანგული ხალხი ბუზბუბით იხოცებოდა და ქუჩებში სპეციალური ურმები დაქმნდათ მკვდრების ასაკრეფად. ეს ურმები — დაშინათა რევოლუციის ყველაზე თვალსაჩინო სიმბოლო იყო.

სომეხი ხალხის მწარე სვე-ბედს არაერთხელ აუცრემლებია როგორც სომეხი, ისე ქართველი პოეტები. გავიხსენოთ თუნდაც სტრაქონები დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსიდან, რომელიც მან სომეხი ხალხის ტრაგიკულ წარსულს მიუძღვნა:

მიწა, სისხლიან წვიმით ნაცვარო,
მტრისგან დამწვარო,
შისიგან დამწვარო,
ვერ ამოაშრეს შენს გულში წყარო...
დაუშრეტელი სიცოცხლე სწყალობს...

თვალზე რული არ მეკარება, არ მეძინება...
მატარებელი ლეღვარის უმწვენიერეს ხეობაში შეგრიალდა. აქ არის ალავერდი — სპილენძის მადნის ქალაქი. გაჩანჩახებულ სინათლეში ნათლად ჩანს ქარხნის ვეება კორპუსები და საკვამლე მიწები.

ალავერდის სპილენძის წარმოებას უძველესი ისტორია აქვს. წარსულში სპილენძს კუსტარულად ამუშავებდნენ და ძალზე ცოტას იღებდნენ. ახლა

კი აქაური სპილენძ-ქიმიური კომბინატის პროდუქციას მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ და მაღალ შეფასებას აძლევენ.

ელმავალი განაგრძობს გზას და მალე თქვენს თვალწინ გადაიშლება ულამაზეს ტყიან ფერდობზე შეფენილი ახალი სოციალისტური ქალაქი — კიროვკანი (ადრინდელი ყარაქლისი), ერთმანეთს მისდევენ ვარდისფერი და თეთრი ტუფით აშენებული სახლები, ტყის პირდაპირ, გორაკზე, ხეივანში ჩაფლულია რესტორანი „ბათუმი“.

ქალაქში მუშაობს ქიმიური კომბინატი, აქვე ხელოვნური აბრეშუმის ძაფის ქარხანა.

აქვეა კიდევ ერთი საამქრო, რომელშიც იხადება... ხელოვნური ბადახში. აქაური პროდუქცია იგზავნება კორეაში, ვიეტნამში, ინდოეთში, ბირმაში და სხვა ქვეყნებში.

ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს სომხეთის მწერალთა კავშირის კიროვკანის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი მწერალი ნორ-აირი (მისი წიგნი „ცაცხვის ქვეშ“ ქართულ ენაზე თარგმნა არჩილ დავითიანი). ამ ქალაქშივე დაიბადა და ყრობის წლები გაატარა დიდა პროზაიკოსმა სტეფანე ზორიანი.

კიროვკანი საუკეთესო საკურორტო ქალაქია, იგი ყურადღებას იქცევს ბუნებრივი სილამაზით, და ვრილი, ჩანსადი ჰაერით, ზაფხულობით აქ აუარებელი დამსვენებელი მოდის.

* * *

აქედან იწყება უღელტეხილი. მატარებელი სულ მალე ჯაჭურის გვირაბში შეგრიალდება და იქიდან მიაღებება სომხეთის მეორე ქალაქს, რომელიც 1924 წლიდან დიდი ლენინის სახელს ატარებს.

ლენინკანი (ძველად გიმრი, ალექსანდროპოლი) მდებარეობს მდინარე ახურიანის მარცხენა ნაპირზე.

ქალაქში სამოცამდე საწარმოა, რომელიც 700 სახის პროდუქციას უშვებს.

ლენინკანი სოციალისტურ შეჭიბრებაშია ჩაბმული მოძვე რესპუბლიკების ქალაქებთან — ქუთაისთან და კიროვპოლთან.

დაშინების ბატონობის დროს ალექსანდროპოლის 81 სახელოსნოში 181 მუშა ირიცხებოდა; ახლა აქაური ფაბრიკა-ქარხნებში 80 ათასზე მეტი მუშაა ჩაბმული შემოქმედებითი შრომის ფერხულში.

ძველი ქობინებიანი ქალაქის ნიშან-წყალიც აღარსად არის, ყველგან ბრწყინავს ყვეთელი ტუფით აგებული მაღალსართულიანი შენობები.

აქ დაირწა ბევრი შესანიშნავი ადამიანის აკვანი; ეს ქალაქი — ავეტიკ ისააკიანის, შუშანიკ კურდიანიანის, აშულ ჭივანის, ოვანეს შირაზის, მკრტირ არმენის, ცნობილი კომპოზიტორების — არმენ ტიგრიანიანის, ნიკოლოზ ტიგრიანიანის, მოქანდაკე დიმიტრი მერკუროვის, აკადემიკოს ნ. კოშტოიანის, მომღერლების — ზარუმ დოლუხანიანისა და შარა ტალიანის სამშობლოა.

* * *

მთვარის შუქზე, შორს, მდინარე ახურიანის მარჯვენა მხარეს მოჩანს სომხეთის უძველესი სატახტო ქალაქის ანის გალავნის ქონგურები, დანგრეული ეკლესიები...

ახალგაზრდობის დროს ორჯერ ვიყავ ამ გაპარტახებულ ქალაქში, იმ დროს, როცა პროფესორი ნიკო მარი, მისი თანაშემწე აშხარბეგ ქალანთარი და ა. ვრუთი გათხრებს აწარმოებდნენ. ამ ქალაქის სახელთან დაკავშირებულია ქართველ-სომხთა ისტორიული ძმობის ბრწყინვალე ფურცლები, როცა დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ მშური დახმარების ხელი გაუწოდეს სომეხ ხალხს.

ამ ამბებმა თავის გამოხატულება ჰპოვეს თანამედროვეობის უდიდესი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი“.

ამავე თემას მიუძღვნა მურმან ლებანიძემ თავისი მშვენიერი ისტორიული პოემა, რომელშიაც აისახა ანისის განთავისუფლება სელჯუკ დამპყრობელთა მონობისაგან.

* * *

ჩვენი მატარებელი არარატის ხეობაში შედის. ადრე ეს იყო შიშველი გორაკები და უკაცრიელი უდაბნოები, გადაქცეული გველების და მორიელების ბუდედ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ხეობაში არხები გაიყვანა და ეს საზარელი უდაბნო სამოთხედ აქცია. რკინიგზას, მარჯვნივ და მარცხნივ მისდევს აუვაგებულ-ამწვანებული ბაღ-ვენახები, ორ-სამ სართულიანი სახლები, მაღალი ჩინარის ხეები, ოქროსფერთავთავიანი ყანები; აქაური ყურძნისაგან მზადდება საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში განთქმული ერევნის კონიაკი და ლალისფერი ღვინო. აქ ხარობს ჭერამი, ატამი, მსხალი, თუთა, ფშატი, ბროწეული, ლეღვი და სხვა მრავალი ჭივის ხილი.

გასცქერი ამ მწვანე ხეობას და შენი თვალით ხედავ, რაოდენ დიდი სიკეთე მოუტანა სომხეთის მიწას საკომუნურნო წყობილებამ.

თარების კვალსაზე უმჯობესდება სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის ეფექტიანობა.

სოციალიზმი მოახწავებს არა მხოლოდ ახალ ეკონომიურ სისტემას და პოლიტიკურ წყობილებას, არამედ ახალი ტიპის კულტურასაც, სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების თვისებრივად ახალ დონეს, ახალი ადამიანის აღზრდას. სსრ კავშირში განხორციელდა საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნა რევოლუციური თეორიის საფუძველზე, შეიცვალა მშრომელთა ფართო მასების ფსიქოლოგია, წინ-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრება. კლასებს შორის განსხვავებათა მოსპობამ და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოქმნამ განაპირობა საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურის, მორალისა და ყოფაცხოვრების საერთო ნიშნების ჩამოყალიბება.

ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის უდიდესი მიღწევები მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობის მკაფიო დამადასტურებელია. სავსებით კანონზომიერია, რომ სოციალიზმის ქვეყანამ პირველმა მისცა დასაბამი მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერჯის გამოყენების ერას, პირველმა

გააკეთა გზა კოსმოსური სივრცისაკენ. დედამიწისა და მზის ხელოვნური თანამგზავრები, მძლავრი კოსმოსური რაკეტები და საპლანეტათაშორისო კოსმოსური ნომადლები, ატომის ელექტროსადგურები, პირველად მსოფლიოში საბჭოთა ადამიანების ტრიუმფალური გაჭრენები დედამიწის გარშემო, საბჭოთა კოსმოსური აპარატების დაჯდომა პლანეტა ვენერაზე — ძლევამოსილი კომუნისმის შემოქმედებითი ძალების სიმბოლო, მთელი კაცობრიობის სიამაყე გახდა.

ადამიანთა ახალი ერთობის — საბჭოთა ხალხის პოლიტიკური ბელადია კომუნისტური პარტია, რომელიც განამტკიცებს მუშათა კლასის, კომუნურნე გლეხობის და ინტელიგენციის ერთიანობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მძლავრ თანამეგობრობას. ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის წარმოქმნის შედეგად მუშათა კლასის პარტია მთელი ხალხის პარტია გახდა. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლვე თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხს უკავავს კომუნისმის აშენების გზას.

დავით მაისურაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

* * *

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა ქართულმა ელმავალმა უკვე ერევანის სადგურს მიაღწია. მახსენდება რევოლუციამდელი ერევანი, მისი ვიწრო, ოღრღოღრო, ტალახიანი ქუჩები, სპილენძის ზანზალაკებიანი, ტალახში ამოხვრილი აქლემების ქარავნები, აზიური, ჩამორჩენილი ქალაქის გულსაკლავი სიჩუმე, ირგვლივ თიხა, ხაშინელი მტვრის კორიანტელი, მორიყელებით სავსე ალიზის ბანიანი ქოხმახები, ხელოსნებისა და ვაჭრების პატარა უფერული დუქნები, უბადრუკი სოფლური ურემები...

1827 წელს რუსეთის არმიამ ერევანი სამუდამოდ გაათავისუფლა ირანელთა უღლისხაგან.

ეს დიდი მოვლენა იყო სომეხი ხალხის ისტორიაში.

„ქოჯახების დამხობა, — წერდა სომეხი ხალხის დიდი განმანათლებელი ზარატურ აზოვანი, — ისე არ გაახარებდა ცოდევილებს, როგორც ერევანის ციხის აღებამ გაახარა სომეხი ხალხი“.

* * *

ბევრი რამ უნახავს სომხეთის ძველ მიწას, მაგრამ მას არ ახსოვს ისეთი სასიხარულო თარიღი, როგორც 1920 წლის 29 ნოემბერი იყო. ამ დღეს აფრიალდა სომხეთის ცაზე ლენინის დროშა, თავისუფლებისა და სიამართლის განთიადმა გადმოაშუქა სომეხთა მიწა-წყალზე.

დაშნაკების რეჟიმის მძიმე დღეებში დაღუპვის პირზე მისული სომეხი ხალხი გადაურჩა ფიზიკური მოსპობის საფრთხეს და თანახმორი უფლებებით შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშურ კავშირში. სომეხი ხალხის განთავისუფლების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ სერგო ორჯონიკიძემ.

სომეხი ხალხის აღორძინების სიმბოლო, უპირველეს ყოვლისა, მისი დედაქალაქი ერევანია.

ისტორიას ჩაბარდა რევოლუციამდელი ერევანი; მის ადგილზე მხრები გაშალა სრულიად ახალმა ქალაქმა, თანამედროვე სოციალისტურმა ერევანმა, სადაც 800 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

სომეხმა ხალხმა თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად ბოვია ფართო ასპარეზი თავისი შემოქმედებითი ნიჭის ყოველმხრივი გაშლისა და გაფურჩქვნისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აყვავდა და გაიფურჩქნა სომხური ლიტერატურა და ხელოვნება; აქაური ოსტატების სახელებს ახლა მთელ მსოფლიოში იცნობენ.

* * *

ვისარგებლე შემთხვევით და ახლად გაყვანილი რკინიგზით ერევანიდან სევანს ვესტუმრე. შუადღის ორი საათი იყო; ამ დროს ერევანში საშინელი სიციხეა, სევანის ტბის პირას კი საამური სიგრილე იდგა.

ცაში აზადულ შთებში მოქცეული ეს ტბა, ნამდვილი დიდი ლურჯი თვალი — ანკარა, ნაზი, გამპვირვალე, მეოცნებე თვალი...

ეს ტბაც პირველად 1907 წელს ვნახე. მაშინ ტბის შუაგულში ამოზარტული იყო კარგა მოზრდილი კუნძული ორი დიდი ეკლესიით; ახლა ტბის დონე იმდენად დაწეულა, რომ კუნძული ნახევარკუნძულად გადაქცეულა.

სხვათა შორის, ძველად სასულიერო პირი თუ რამეს დააშავებდა, ეჩმიაძინის საკათალიკოსოს ბრძანებით დაშნაშავებს წვერს მოკრეფდნენ და სევანის კუნძულზე გადასახლებდნენ ხოლმე ცოდვების მოსანანიებლად.


ახლა ამ ნახევარკუნძულზე სომხეთის მწერალთა კავშირის დასახელებული სახლია.

აქვეა აგრეთვე უზარმაზარი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მუდამ სავსეა როგორც ჩვენს, ისე უცხოელი ტურისტებით.

ამ ტბას ყველაზე ადრე აღექვანდრე ჰავაშაძემ უმღერა, მის სილამაზეს უღღვნა მან თავისი მშვენიერი „გოგჩის ტბა“.



ლენინის მოედანი ქ. ერევანში



ს. ერევანს ქუჩებში

ფოტო თ. არჩაპძისა.

სევანის ტბამ შთააგონა გიორგი ლეონიძე. თავის ლექსში იგი ამბობდა:

მსურს ხელთ ავიღო თასი სევანის,
ვთქვა საღვთგებლოდ სიტყვა გულისა,
გაკმაროს ყველა შემოსევანი,
გარდა მოსეულ სიყვარულისა!
ძმებო, ჩვენ გული გულზე დავადოთ,
სადაც იწვევა ალი მცხინვარი,
და სიყვარულის ცეცხლით დავადნოთ,
ვით არარატი, ისე მყინვარი!

ასევე აღტაცებული იყო სევანის ტბის სანახაობით სიმონ ჩიქოვანი:

ეს ტბაა თუ მნათობია?
მზემ გარეკა ნისლები,
შენ მგზავრობა დატყობია
და ტბის ეშხით ივსები.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, სევანის ტბამ, 1907 წლის დონესთან შედარებით, თითქმის ოცი მეტრით დაბლა დაიწია, რამაც დიდ საგონებელში ჩაგდო ყველა მისი გულშემატკივარი — არარატის ველ-მინდვრებმა ასე უღარდელად როდემდის უნდა ფლანგონ სევანის სიკეთეო. განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა ამ ამბავს ავტიყ ისაკიანი —

სომხეთის დიდი ვარპეტი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ტბას ახლანდელი დონე მაინც შევუნარჩუნოთო, ამბობდა იგი. ამ ტყიფილს მალამო გეოლოგებმა უპოვნეს. მათ გადაწყვიტეს არფა-მდინარე შეუერთონ სევანს.

ამ პროექტის განხორციელება უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ახლა, თანამედროვე ტექნიკის პირობებში ამის განხორციელება შეუძლებელი არ არის.

გაივლიან წლები და ორმოცდაათილომეტრიანი გვირაბით მდინარე არფას წყალი სევანში ჩავა, რის შემდეგ სევანის ფირფრევიანი თვალი ისევ ძალუშად გაბრწყინდება.

სომხეთის მშრომელები ახალი, სასახელო გამარჯვებით ხვდებიან ჩვენი ხალხის დიდ დღესასწაულს — საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და თავდადებით იღვწიან ოცდამეოთხეურობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მეცხრე ხუთწლიდის დავალებათა პირნათლად შესასრულებლად.

ივანე დავითიანი,

მწერალი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

თ ა მ ა რ

(ნაწყვეტი რომანიდან)

თამარი ზამთარს დურში ატარებდა, ხოლო ზაფხულს კოლას, ცელოს ტბის პირად, მეტწილად კი გეგუთში, ან ცხუმში.

საზრუნავი არასოდეს გამოღვევია ქრისტეშემოსილს.

ახლა მთელნი განდგნენ. იმ დროს ფხოველნი და დიდონი უმ ხორცსა სჭამდნენ. ზოგი მათგანი უჩინარ ეშმას თაყვანსა სცემდნენ. ზოგნი — უნიშნო შავ ძაღლს.

თამარმა და დავითმა მოუწოდეს ათაბაგს წესრიგი დაემყარებინა მთელ ტომთა შორის.

ათაბაგის სპიანად მოხვლა რა გაიგეს, ფხოველებმა, ზოგი არხოვნი გამოაგრა, ზოგი შატილისა და სხვანი მუცოს ციხეში.

ბოლოს ათაბაგმა ალყა შემოარტყა ამ ციხეებს, დამშეული მეთაბოხნი დანებდნენ და მუხლი მოიყარეს ათაბაგის წინაშე.

ათაბაგმა მოიხმო ხევისბერი ბერდიაი, მჩხიბავი და იღუმალთა მიმთხრობი.

ბერდიაი უხუცესნი დასვა ხატის წინაშე და დაიწყო:

„თქვი მე ვეძიებ მფარველობას განთიადთა უფლის წინაშე, ავზნიან ღმერთა წინააღმდეგ.“

მათ წინააღმდეგ, ვინც კვანძებში აღუუებენ? მე ვეძიებ საფარველს კაცთა უფლისაგან, კაცთა მუუფეთა წინაშე, და წინ აღვუდგები სიავის ჩამდენ ეშმას, დევებსა და ავისმითხრობ ტინეებს.

თქვი: აროდეს ჩავთვლი წმინდანად ღვთისმცირ დაწვედილ ორს განდგომილ ანგელოზს, ბარუტსა და მარუტს, ესენი ხომ შავ ძაღლებს დააგელვებენ დამღამობით უკაცრიელ ჭაობებსა და ღრანტებში.“

* * *

ისნის სასახლეში მოვიდნენ თავკაცი განდგომისა, ყელსაბელომბულნი.

თამარმა, უწინარეს ყოვლისა, შეიწყნარა ზაქარია ვარამისძე, და უბოძა გავი განძამდის, ციხეებითა, სოფლებითა. შეიწყალეს და დალოცეს სხვანიცა დიდებულნი და შექცეულთა მიმართეს ნაქარმაგვესა.

ახლა მონანიებულნი ეწვიენ თამარს და შენდობა სთხოვეს. „და შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს.“

1. მუცოს ციხე მდებარეობს პირიქით ხევსურეთში. ეს ციხე უთუოდ მოგვაგონებს ზიჩის ქაჯეთის ციხეს. მუცო დღესაც დგას, შეუვალი ქარაფებით გარს შემორტყმული. სიღიდით ამ ციხეს ირანული ალამუთის ციხე თუ შეედრება. ოღონდ ესაა, ალაპუთი ერთხელ ასანინებმა აიღეს, მგორეჯერ მონღოლებმა, ხოლო მუცო, ჩემის აზრით, ერთერთა მთელს მსოფლიოში, რომელიც არასოდეს არავის აუღია. მე პირადად ორგზის მოვიხანხლე მუცოს ციხე, მას ერთი კენჭიც არ აკლია.

2 კვანძებში ჩაბერვა ეს იყო მონუსხვის, მოკადრების ერთ-ერთი სახე.

3 არაქსი, არეზი.

და ერთბაშად ძოვდეს ლომი და ხარი, იხარბდეს ვეფხი თიკანთა თანა და მეელი ცხვართა თანა.

და განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქვეყანისასა.

ამასობაში მიიცივალა გამრეკელი ამირსპასალარი, და თმოგვისაგან კიდე, არა დააკლეს შვილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა. და კიბერსა-მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს უნივანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა, შეიწყალეს სარგის ვარამისძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი და ქვემოთ წირქვალეონი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, კიბერის ძენი და მახატლის ძენი, შეიწყალეს თითოეული თვისითი წესითა: რომელიმე ახლად დალოცვითა, რომელიმე მომატებითა; აგრეთვე ქართლელნი, სომხთარნი, თორენი, მესხნი და ტაოელნი.“

აწ სიხარულით ადივსო სრა-სასახლე ისნისა, თამარ ტახახმელას სასახლეში დაწვა და „შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა და უწოდა სახელი ახოვნისა მამისა თვისისა — გიორგი“.

გამოსდა ხანი. გიორგი ლაშა დავეუკაცდა. ჭირ ნადირობით ერთობოდა, ბოლოს ომებს მიჰყვეს ხელი დავით სოსლანმა და ძემან მისმან ლაშა გიორგიმ.

და „მუნ იყო სიმრავლე ომთა, წყობა ჰუნეთა და ხეთქება აბჭართა... მოვიდეს ლაშქარნი უთვალავითა და მიუწვდომელითა ალაფითა. და შიგნით მყოფნი, ვითარცა მხეცნი, იღრქენდეს კბილსა მათსა“...

შემკრთალნი მუსლიმნი ჰგოდებდნენ: „ვინა ჩვენდა ესევითარი შერისხვა, ვინაიდან არაოდეს გვიხილავს ტომი ქრისტიანთა სანახებსა საყოფელთა ჩვენთასა“.

...და ვითარ გათენდა, ბერეს ბუკთა და დაბაბთა... და მსკვენლნი სისხლთა მათთა დათხევსანი გამოვიდეს ბჭეთა ქალაქისათა... წარმოდგეს ბანსა ზედა და შუკათა შინა ისრის მსროლელნი და ქვის-მსროლელნი და ვითარცა იხილა მეფემან დავით და სპათა მისთა გულმყარად გამოსრულება მათი, ითხოვეს საჭურველი და აღსნდეს რაშთა, და აპა, მისვლისთანავე დასტებეს სახედ მენის-ტებისა... და შემოკცეულნი მეფე დავით და ლაშქარნი მისნი მოვიდეს მხიარულნი ქვეყნადე თვისად“.

ახლა წავიდნენ ორი ძმანი, სარგისის ძენი, ზაქარია ამირსპასალარი და მსახურთუხუცესი ივანე რახსისპ პირეთის მოსარბევად. იქიდან წამოსული იყვნენ ლაშქარნი დვინელნი, ბიჭნელნი და ამბერდელნი მეკობრობად და მწერად ქარავნისა. შეიყარნეს საშუალობისასა გზისასა, ეკვეთნენ ურთიერთს. ბოლოს ავსებულნი და სახელოვანი მოვიდნენ წინაშე დავით სვეამალღებულისა და თამარ ღმრთივ დამყარებულისა.

„შემდგომ ივანე მსახურთუხუცესმა აწვია დავით ლაშქრობისა ძალითა შესამართებად დიდსა და სა-

სახელოსა: მოსარბევლად დიდისა გელაქუნისა. სპარსნი ბაზრისა და გორალაქისა.

მაშინ გაჰყვა მოყმე დღითიდღე მატებული, წარმართებული და წაკვეთებული ომთა და ლაშქრობათა. დამსხმელთა აღიღეს ტყვისა, ჯოგისა, აქლემისა, ზროხისა და ცხვრის სიმრავლე, შემსგავსებული ქვიშათა და სადაცა ვის ლაშქარნი და მეშველნი თავისა დედაწულთანი გარდაეკიდნენ, გააქცივნენ, ამოსწყვიტნენ და დახოცეს. ვინაცა ივარ-მქმნელთა სპარსი-ბაზრისა სულტნის მოედანს შინა ხელუყვეს სიხარულად და ასპარეზობად, რომელიცესცა აროდეს ვისგან ქმნილ იყო“.

* * *

საადგომოდ ხორნაბუჯის ციხის პატრონმა საღირ მახატელისძემ ლომის ბოკვერი გამოუგზავნა ისნის ციხისთავს და მოიწერა:

„ამჟამად ავად ვარ, თორემ მე თავთ ვეახლებოდი ღმერთშემოსილ მეფესა თამარს და ამ ბოკვერს პირადად მივართმევდიო.“

გაზაფხულის ერთ წვიმიან დილას ერგასი მეციხოვნის ამარა ვეწოლი შემოვლას ჩემი ციხისას.

ეს ბოკვერი გულდაგულ გამოეშურა რატომაც ჩემსკენ და მუხლის თავებთან გაუწვა შემკრთალ რაშს. მე ცხენიდან ჩამოვხტი და დანდობილად ხელში ავიყვანე იგი“.

ისნის სასახლეში აუტანელი გახდა ბოკვერი. გაავებული ბრდღვინავდა. ბოლოს ისეთი საზარელი შეიქმნა, რომ არც შინაური და არც ველური მისი მსგავსი არავის უხილავს.


თამარ დარბაზონის ტალანში გამობრძანდა თუ არა, ლომის ბოკვერი ხელიდან გაუძვრა ცალთვალა ამირახორს და მუხლის თავებთან გაუწვა პატრონს. „ჩემთან მოდი, პატარავ“, მიამხა თამარმა ლომის ბოკვერს. თამარმა ყვრიმალეები დაუწილა ატროკებულს, ბოკვერმა ნებიერად დახუჭა თავლები. როცა დარბაზონში გაბრუნდა თამარ, ბოკვერმა კვლადაკვალ მისდია, ფერხთით გაუწვა პატრონს, ნებიერად აფახულებდა თავის მშვენიერ თავლებს და უცნაურ სმას იღებდა ხორხიდან.

ცალთვალა ამირახორი და მესტუმრეთუხუცესი მისწვდნენ მას, ბოკვერმა ღრენა მორთო და მანამდის არ დადუმდა, ვიდრე ღმერთშემოსილ თამარს უბეში არ ჩაუდო თავი და ხელები არ დაულოშნა. თითქმის ყოველ დარბაზობისას ლომის ბოკვერი ფერხთით უჭდა თამარსა და დავითს.

ეს ამბავი განსაკუთრებით აოცებდა ბიზანტიელ სტუმრებს.

როცა თამარი ისნის სასახლიდან სადმე წაბრძანდებოდა, ლომის ბოკვერი მოუსვენრად ბრდღვინავდა.

ბოლოს შეებრალა იგი სულიერთა მოკეთე მეფეს, თავის ეტლში ჩაისვამდა და თან მიჰყავდა ხან ნაქარმაგვეს, ხანაც გეგუთს.



ჩვენი ქართველი მწიგნობარი,
ბაგრატიონი!
მოლოდინე ჩაწი, ხეობის მცხეთა-
დი გამოხატულება დღე სიყვარულსა და
მადლობას იმ ბუნებრივ ღმერთსავე,
მეფეს ქმარებთან მჭიდროდ რომ
მოგწოდებდა
ყოფილი ამ ძაღლსა სარეჟარი
გოთხათ, ის ძაღლს, ძაღლს ვეწოდებდით

მეფის სამკურნალო
მოსწავლე
1872 წელს, მარტის 26

სტინანოვი შაბაძის.
X¹ კლასის მონ. რა ღმერთსავე (415, 36-37)
X² კლასის მონ. ქეთევან სიამონიძე (16-20, 39)
X³ კლასის მონ. შილა კატეხიანი (21-35)
VIII¹ კლასის მონ. ქეთევან შამაგიაძე (40-46)
ქათ. რისა და რტ მან. შ. ქავთამ (47-61)
თავუქცივი და ძაღლმეცნიერი X¹ კლასის მოსწავ-
ლის ვიზიტი ხანანიშვილისა.
შაბაძის ანბან ქაბუციანი
წიგნის მოშადიქმას სიძველენი სხვანაირ
მცხეთის სამკურნალო სკოლის ქათოლი რისა და
რტქაბუცივის მასწავლებელი: შაბაძე ქავთამ და
ბილა ქათამ.



კრილოგი

ქვეყნის დღე, სიყვარულსა და
მეფის სამკურნალო სკოლის
ქათოლი რისა და რტქაბუცივის
მასწავლებელი: შაბაძე ქავთამ და
ბილა ქათამ.

„საქონი გრძელ?“ მუდმივად ნაშთად, ძე-
რი მუდმივად
„საქონი რინაქი ქართა, მუდამ დაჯდო მუქი,
მუდმივად ემნა“
„ნაქონი“
თავად დაქონა:
„ნაქონი ხელე გუგას უქონის“
„ბილა მასწავლებლის და რტქა“

— 1 —

მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩვენმა
ხალხმა შეიშინა დიდი ქართველი
მწერლისა და მოაზროვნის, აკადემიკოს
კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 80
წლისთავი. საბჭოთა კავშირის მოძმე რეს-
პუბლიკების საუკეთესო პოეტებმა და
პროზაიკოსებმა, თავთავიანთი ხალხების
სახელით გულწრფელად მიულოცეს ეს
თარიღი სიტყვის სახელოვან ოსტატს; აუ-
რებელი მისალოცი დეპეშა მოვიდა უც-
ხოეთის ქვეყნებიდან — კ. გამსახურდიას
რომანებსა და ნოველებს უკვე კარგად იც-

ნობენ და მაღალ შეფასებას აძლევენ ევ-
როპაშიც, აზიაშიც და ამერიკაშიც. გამო-
ჩენილმა ქართველმა საბჭოთა მწერალმა
ქართული სიტყვა, ქართული აზრი მსოფ-
ლიო ასპარეზზე გაიტანა, მთელი საბჭოთა
მკითხველისა და მოწინავე კაცობრიობის
სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.
ფასდაუდებელია ღვაწლი და ამაგი, რო-
მელიც კონსტანტინე გამსახურდიამ დას-
დო ჩვენს სულიერ კულტურას, განუზომე-
ლია იდეურ-ემოციური ძალა და ქმედი-
თობა იმ შედეგებისა, რომლითაც მან გა-
ამდიდრა მრავალსაუკუნოვანი ქართული
მწერლობის დიდი საუნჯე და საგანძური.
მის რომანებში და ნოველებში აისახა
ჩვენი წარსულიც და ჩვენი აწმყოც, აი-
სახა დიდი საბჭოთა ეპოქა, აისახა გამარჯ-
ვება ახლისა, კომუნისტურისა — ყოფაშიც
და ადამიანის სულშიც. საბჭოთა ეპოქის
ადამიანის სახელოვანმა საქმეებმა ნათელი
გამოხატულება ჰპოვეს „მთვარის მოტაცე-
ბაშიც“ და „ვაზის ყვავილობაშიც“.
მაღლიერმა ხალხმა მთელი სულითა და
გულით მიულოცა სახელოვან მწერალს
და უსურვა ახალი შემოქმედებითი წარ-
მატებანი. თავისებურად გამოხატა თავისი
მადლობა ნორჩმა თაობამ, ახალგაზრდა
მკითხველებმა.
კოლხურ კოშკში, კონსტანტინეს საწერ
მაგიდაზე ძევს ერთი ვეება ხელნაწერი, რო-
მელიც ჩასმულია ჭედურობით შემკულ
ლითონის ყდაში. სურათზე ამოტიფრუ-
ლია კონსტანტინე არსაკიძე, სვეტიცხოვ-
ლის ტაძარი რომ უპურია ხელთა და მად-

ლა აღუმართავს. გადაშლით ყდას და
თქვენს წინაშე კონსტანტინე გამსახურდი-
ას „დიდოსტატის მარჯვენა“, მთელი რო-
მანი, პირველიდან უკანასკნელ სტრიქო-
ნამდე, გადაწერილი მცხეთის საშუალო
სკოლის მოსწავლეების მიერ, ღამაში კა-
ლიგრაფიული ხელით. აი ასე, ამ სახით
გამოხატეს მოსწავლეებმა თავიანთი დიდი
სიყვარული და მადლობა მწერლისადმი,
რომელმაც მათს თვალწინ გააცოცხლა სამ-
შობლო ქვეყნის ისტორია.
კონსტანტინე გამსახურდიას მდიდარ
კოლექციაში, საიუბილეო საჩუქართა შო-
რის მცხეთელი მოსწავლეების ნობათს სა-
პატიო ადგილი უჭირავს.

ეპილოგი



ქათ. რისა და რტ მან. შ. ქავთამ (47-61)
თავუქცივი და ძაღლმეცნიერი X¹ კლასის მოსწავ-
ლის ვიზიტი ხანანიშვილისა.
შაბაძის ანბან ქაბუციანი
წიგნის მოშადიქმას სიძველენი სხვანაირ
მცხეთის სამკურნალო სკოლის ქათოლი რისა და
რტქაბუცივის მასწავლებელი: შაბაძე ქავთამ და
ბილა ქათამ.

წიგნის,
1838 წელს

სკოლა, გზისკენ გაქცევი

პატარა საკუქნაო მქონდა დაქირავებული ბესიკის ქუჩაზე. დედა-შვილს ერთი ოთახი ეკურათ. ჩემი საკუქნაო ზედ ედგმოდა მათს ოთახს. საკუქნაოში ძლივს ეტეოდა ერთი საწოლი, ჭურჭლის პატარა კარადა და ერთი სკამი. გარდერობის მოვალეობას კედელზე მიკედებული სამი ლურსმანი ასრულებდა. მე თუ მკითხავდით, ისიც არ იყო საკვირო, მთელ გარდერობს ჩემი გამხდარი ბეჭებით თან ვატარებდი.

დიასახლისს საკმაოდ გრძელი ენა ჰქონდა, დაიწყებდა და სარეცხის თოკივით გაქიმავდა. უსმენდი თუ არა, სულ ერთი იყო, მაინც თავისაზე იდგა. თვენახევრის ბინის ქირა მქონდა მისაცემი. ეს კარგი მიზეზი იყო მისთვის, რომ ორსაათიანი ლექცია მაინც წაეკითხა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს საბჭოთა ახალგაზრდა. იგი რომელიღაც სკოლაში ასწავლიდა, ძალიან მეცოდებოდნენ მისი მოსწავლეები.

საბჭოს ქუჩაზე ვილაღ გოგონამ თოვლის გუნდა პირდაპირ კინკრიხოზე მომახვედრა. მწარე ხელი ჰქონია, მე სიმწრისაგან ცრემლებს ვდვრიდი, ის კი ისე იტყანებოდა. თითქოსდა არაფერი.

მადლობა ღმერთს, ჩემს პროფესორას ეძინა. კარი მისმა ქალიშვილმა გამიღო.

— ალბათ დედათქვენს უკვე სძინავს?

— დიახ, ახლა საღამოობით ტექნიკუმშიც ასწავლის და ძლიერ იღლება.

— ძალიან კარგი.

ახალი ფესხაცემლები სამზარეულოში თეთრი კაფელის ლუმელზე დავაწყე. სამზარეულო ჩემს სამფლობელოსა და დიასახლისთა ოთახს აერთიანებდა. გოგონამ არ დააყოვნა და საყვედურით შემომხედა.

— ფესხაცემლებს ლუმელზე არ დებენ. ეს არაა წესი.

ფესხაცემლები ავიღე და საკუქნაოში შევედი. საწოლქვეშ შევყარე, ნელა ვიწყე ტანსაცმლის ვახლა. საკუქნაოს კარს საერთოდ არ ვკეტავდი, ამ თავის სიბრძნით, საწოლზე გაშვებულ იყო ისე ვიწყე, როგორც კუბოში. კარიც რომ დამეკეტა, მთლად საშინელება იქნებოდა.

პატარა დიასახლისის სამზარეულოში ფუსფუსებდა.

— ასე მგონია, თქვენ მეგობრები საერთოდ არა გყავთ.

— ეგ საიდან მოიტანე? — შევეკითხე გოგონას.

— რახანა ჩვენთან ცხოვრობთ და...

— არავის გაუკეთებია ვიზიტი, არა? ისე, საერთოდ მარტოობა ყველაფერს მიჩვენებია.

— სხვათა შორის, მეც მიყვარს მარტოობა.

საწოლზე გულაღმა დავწექი, ბალიში ილღიაში ამოვიჩარე და სამზარეულოსაკენ გავიხედე. ქალიშვილი პატარა მაგიდასთან იდგა ოდნავ გადახრილი, ჩემსკენ ზურგშემოქცეული. ისედაც მოკლე კაბა ზევით ამოტმანსოდა. სწორი, კომპოსიტური წივილები მოუჩანდა.

— მანან!

იგი შემობრუნდა, მაგიდის წინ ჩაჯდა და კაბა მუხლისთავეს შორის ჩაიკეცა.

— რა იყო?

— იცი რა...

— ჰო.

არ ვიცი რისთვის დავიწყე ეს საუბარი, ჩემს თავზე გულიც მომივიდა.

— რას ფიქრობ, ვითომ ბლომად მოთოვს?

სახეზე გაკვირება აღებუქდა. ძალიან ფერმკრთალი სახე ჰქონდა. შემუშებელი ქუთუთოები, პატარა, ოდნავ მსუქანი ტუჩები.

— აბა რა ვიცი, მე სულ თვრამეტყერ მინახავს თოვლის მოსვლა. ეს ალბათ ძალიან ცოტაა.

— ჰო, მართლაც ძალიან ცოტაა. მე ოცდაათოცჯერ ვნახე, მაგრამ რომ მკითხო, მაინც ვერ გეტყვი რამდენს მოთოვს. ჩვენ ჯერ ცოტა ვიცხოვრეთ.

— ჰო, ეს აგრეა.

— რატომ არ იძინებ?

— ხვალ ჩემი დაბადების დღეა, ნამცხვრები უნდა მოვამზადო, ამხანაგები მოვლენ.

— ბევრი ამხანაგი გყავს?

— ამხანაგს რა გამოლევს.

— ბიჭებიც?

— რასაკვირველია.

— ალბათ სიყვარულობანასაც თამაშობ?

— რა დროს ეგენია, ჯერ რამდენი რამ მაქვს მოსასწრები.

— ჩვენთან, სკოლაში მესამე კლასიდან ბიჭები უკვე ირჩევდნენ. ისე ირჩევდნენ, თორემ გოგონებმა არც კი იცოდნენ ვინ ვისი გულის რჩეული იყო.

— შენც გყავდა?

გულაღმა გადავბრუნდი.

— მე საერთოდ ვერ ვეწყობოდი გოგონებს.

— ახლა?

— არც ახლა მახატია გულზე.

— არა მყვრა.

— როგორც გსურდეს, ისე ძალიან მეტიჩარა გოგონები იყვნენ. რაღაც პატარა სურათებიან ალბომებს დაათრევდნენ, ენა კი ერთი არშინი ჰქონდათ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. მეძინება. საბანი წავიფარე.

— ხვალ ცოტა აღრე მოდი, ამხანაგებს გაგაცნობ.

დილით ფოსტაში შევიარე, ბებიასაგან ველოდი ფულს. ეს ერთი კვირაა ყოველდღე დავდიოდი, ფული კი არ ჩანდა.

მთლად ფერუმარულით ატრელებულმა ქალიშვილმა ქვითრების შევკრა გადაათვალიერა.

— არის, ათასი მანეთი არის. პასპორტი მომაწოდეთ, — თქვა და ფულს ორიოდ რუსული ფრანკი მოაყოლა.

ფული გულჯიბეში ჩავიდე, ფოსტადან გამოვედი და მარცხნივ გაუფუყე. თანაც ვანგარიშობდი, ბინის ქირის გადახდის შემდეგ რამდენი დღის სახარჯო დამჩხებოდა.

ჩემდა უნებლიეთ ყვავილები მალაზისთან შევიჩერდი. სად ყვავილები და სად მე, მაგრამ გოგონებს ხომ ძალიან უყვართ და გადავწყვიტე ჩვენი პატარა დიასახლისისათვის ყვავილებით მიმელოცა დაბადების დღე.

ერთი კარგი თიგული შევიძინე და ქუჩა გადავმოქვეყრი.

ყინავდა. ხელთათმანი არ მქონდა, ყვავილები შიშველ ხელში მეჭირა. ის იყო ხელი უნდა შემენაცვლებინა, რომ ვილაღ ქალიშვილი დამეჩახა. პირდაპირ უცნაური იყო, რა მოარბუნებდა იმ კაი მამისშვილს. ჩემი ყვავილები ქუჭყიან თოვლში ჩავივდივდი.

— უკაცრავად, — თქვა ქალიშვილმა და დაიხარა.

— აქოზებდა სიარული გესწავლათ, ბატონო რომ დაბობტებთ.

— ბოდიში.

— როგორ მიმართავთ ქალიშვილს? — მიხარა ვილაღ ყმაწვილმა და ისიც დაიხარა.

— თქვენ ვინდა გკითხავთ?

— იგი ჩემთანაა.

— აქედან მოწყდით!

ბიჭი წამოდგა, ჩემსკენ წამოვიდა, მე ცოტა უკან დავიხიე და შემდეგ მთელი სხეულით ვისკუპე. მუჭი პირდაპირ ნიკაპზე მოვდე. იგი ფოთლივით აფრიალდა პაერში, თავით ელექტრონის ბოძს მიასკდა და იქვე ჩაიკეცა.

თავი ჩაქინდრა, შუბლიდან ჩამოღვრილი სისხლი შავ, მრუდე ზოლებად იქარგებოდა ღია ნაცრისფერ პალტოზე. სისხლი ქალიშვილმაც შენიშნა და შეკვიტდა.

ახლა სინანული გვიან იყო, ქვემოთკენ დავეშვი. სირბილით გავედი ძნელადს ქუჩაზე. მარცხნივ შევუხვიე და მოგკურცხე. ასე მეგონა ყველა მე მომდევდა. ის იყო სანაპიროსაკენ უნდა გადაძებოდა, რომ საიდანღაც დანჯღრეული სტუდენტები გამოხტა. შოფერმა დამუხრუჭება სცადა, მაგრამ...

...ნესტოვში იოდის გულისამრევი სუნი მიღიტინებდა. კიდევ რაღაც საზიზლარი სუნი ჯდგა. თვალების გახელა ვცადე. არაფერი გამოვიდა, ქუთუთოები დამძიმებულიყვნენ, არა და არ იქნა, ვერაფრის დიდებით ვერ გავახილე თვალი. ახლა ხელის აწევაც ვცადე. ვერც კი გავანძრე. ისიც ვერ გავიგე საერთოდ მქონდა თუ არა ხელები. იოდის სუნი კი, იოდის სუნი კვლავ მიღიტინებდა ნესტოვში.

— დეიდა ფიქრია, იქნებ წყალი მომაწოდოთ, — ჩამესმა ვილაღის მიკნავებული ხმა. შემდეგ მალაქუსლიანი ტუფლების კაყუნი გაისმა, შემდეგ წყლის ჩხრიალი. ალბათ ის დეიდა წყალს ჭიქაში ასხამდა.

— დეიდა ფიქრია, იქნებ რაიმე დამაყუჩებელი მოგცეთ... ძალიან თხელი ლეები გქონიათ, ზამბარა ლამისაა სხეულში შემერკოს.

ახლა მეორე ხმა აჟყავ პირველს.

ვარშავა მომაგონდა, ორმოცდახუთი წლის ივნისის ვარშავა. სანახევროდ დანგრეული ორსართულიანი სახლის აივანზე ვიწექი. სახლი ვისლის ნაპირად იდგა, პატარა გორაკზე. როცა მოაჯირის ქანგიან გისოსებს შორის თავს გავეყოფდი, ჩანდა მთლად გადაბუგული ქალაქი. შემარბუნებდა ნაღვლიანი, მღუშარე აკლამებოვით იდგნენ გამურული ბეტონის კედლების ჩონჩხები. პატარა ჯგუფ-

* ერთი თავი რომანიდან.

ბად შინ ბრუნდებოდნენ ტყეში შეხიზნული ადამიანები. ზოგი, როგორც რიქმა, ისე შემბოლოდ ორთავალაში. ორთავალაზე კი უთავბოლოდ ეყარა ქვაბები, დაგლეჯილი სახენები, ქუქუქიანი ჩერები, ქოთნები, ის ნარჩენები, რისი გადარჩენაც მოუხერხებიათ ამ საშინელი ომისაგან.

— ფიქრია, წყალი!

— ფიქრია, წყალი! — განუწყვეტლივ ისმოდა მაშინ ვისლის ნაპირად მდებარე იმ სახლში. ფიქრია ერთადერთი იყო ჩვენთან. საერთოდ ეს სახელი მაშინ პირველად გავიგონე. მერე თავად მივხარა: ძველი ქართული სახელიაო. მართლაც და ძველი ყოფილა, ახლა ხომ არაგის არქმევენ ფიქრისა, მოდერნი სახელებშიც შეიჭრა. ახლა ლუიზები, მადონები და მისთანანი გამარჯვდნენ. ჩემთან, სანგარში სული დალია ერთმა მთლად უწვევრულვამო ყმაწვილმა, რომელსაც ორდენი ერქვა.

მერე ჰოსპიტლიდან გამომწერეს და შინ მოვაშურე. ძლივს ავძვერი საბარგო ვაგონში, რომელიც ქვეყისაკენ მოდიოდა. ჩემს გვერდით ვილაც ჩოფურა იჯდა. ის დალოცვილი ჩაისაც ნივრით სვამდა. ტუჩის გარმონი ჰქონდა. დღედაღამე უკრავდა. პირდაპირ გული გააწვირია. მერე ვილაც მაიმასმა მოპარა. მთლად გადაიჩია ჩოფურა. იმ ტუჩის გარმონსაც თავისი ისტორია ჰქონია.

ჩოფურა ლვოვთან ჩავარდნილიყო ტყვედ და ბავარიამ წაეყვანათ. იქ ვილაც რისტერისათვის ეჩუქებინათ; იმ რისტერის ღორების ფერმა ჰქონდა. მესამე რაიხის ღორის ტყავითა და ხორციტ ამარაგებდა. თვითონ რისტერიც გვარიანი შვანი ყოფილა, რვა ფუტის იწონიდა თურმე და თავი მოსწონდა: მე და პრუსიის მეფე გერმან გერინგი ერთი წონისა ვართო.

რისტერის ახალგაზრდა ცოლი ჰყოლია: ფრაუ რისტერის გრეტას ეძახდნენ. მალაღობი, ხორციანი კანკები ჰქონია და ვნებიანი ტუჩები. ერთხელ, როცა მელორე ქმარი შტუტგარტში გაემგზავრა თავისი კომერციული საქმეების გამო, ფრაუ გრეტამ ჩოფურას თვალწინ საძინებელი ოთახის ორივე კარი ჩაეკეტა. ურცხვად ვაიხადა შავი გოფრეს კაბა და გაოცებულ ტყვეს მამაკაცის მოვალეობის შესწავლვება მოსთხოვა. შემდეგ, როცა მისი წმინდა არიული თავი ჩოფურას მკერდზე ისვენებდა, გულდაგულ წყველიდა ქმარს, რომელიც ღორებს უფრო მეტ პატივს სცემდა, ვინემ თავის ატეხილ ცოლს.

ის რისტერი არც თუ ისე ბაიყუში ყოფილა და აშკარად ეჭვით უყურებდა თავის ცოლს, რომელიც ჩოფურას უკვე საჯაროდ ეკურკურებოდა. ჩოფურამ იგარბო, რომ აღსასრული ახლოვდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს უქანსქნელად გაეთამაშა ფრაუ გრეტას ფუნფულა მკერდს და ტყისკენ მოკურცხლა. ამ ტყისკენ უფრო ადრე იტალიელ დეზერტირის მოეკურცხლა. მესამე დღეს მშვიდი, დაღლილ-დაქანცული ჩოფურა მუსოლინის ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილ დეზერტირის წააწყდა. გულდაგულ შეებნენ ერთმანეთს, მთლად შემოფიქროლთათ ტანსაცმელი. ხან ჩვენი ძმა იყო ზევით და ხანაც კიდევ ის იტალიელი. ჩოფურამ მუსოლინის ჯარისკაცი მაგრად მოხევევა. სამაგიეროდ, დეზერტირმა ცხვირზე უკბინა და შემდეგ ყელში სწვდა. ხელებში ძალა აღარ ჰქონდა და დახრბობა ვეღარ შესძლო. ხელები ნელ-ნელა მოუსვიავდა და ძალა-გამოლეული იქვე მიეგდო. სულ ცოტა ღონე კიდევ რომ შერჩენოდა, ჩოფურას სული იმ საღამოთი მამადმეროს ეახლებოდა ზეცაში, მაგრამ დეზერტირის ძალამ უმტყუნა და არაქათგამოცლილი ჩოფურას გვერდით მიეგდო.

როცა დეზერტირი გონს მოეგო, მზე უკვე ბავარიის ტყეს დასაგლეჯიდან მოქცეოდა. ჩამავალი მზის შუქზე ჩანდა ჩოფურა, რომელიც გასიებულ ცხვირზე ბალახებს იღებდა. იტალიელმა შიშით შეხედა მას, მაგრამ როცა მის სახეზე ღიმილმა გაილევა, თვითონაც გაეცინა.

— კინაღამ არ დაეხრცეთ ერთმანეთი, რას ვერ-

ჩოდით, — თქვა ვორონეის ქუჩებში ნასწავლი რუსულით. იგი თურმე მთელი ორი წელი მუშაობდა ვორონეის საინტენდანტო სამსახურში.

— შენ ვეგ თქვი და...

— არც მე მინდა ომი, ჰიტლერი ღორია, მუსოლინი ვირი, ნამდვილი ვირი, მხოლოდ გრძელი ყურები აქლია.

იტალიელს ერთი ორცხობელა აღმოაჩნდა და იქვე ძმურად გაიყვეს. დილით კი, დილით სულ სხვა ამბავი იყო.

მზე ნელა ამოწვერილიყო ბავარიის გორაკებს იქიდან. ქვევით ტაფობი ჩანდა. ტაფობში სუფთა გერმანული პედანტობით ნაგები სამოღვე სოფელი ჩაკარგულიყო. ტაფობს ძალიან თხელი, გამკვირვალე ნისლი ადგა. ამ ნისლში, ნახირის უკან ატორლილებული ტიტლიკანა, ქერა ბიჭები ჩანდნენ. სუფთა, ბავარიული დილა იყო.

დეზერტირი კუნძზე იჯდა, თვალეები ცისკენ აღეპყრო და ტუჩის გარმონზე მთელი გრძნობით უკრავდა.

— რას უკრავ? — იკითხა ჩოფურამ.

იტალიელს ამა ქვეყნისა არაფერი ესმოდა. თვალეები მთლად კრემლვებით ავსებოდა, უკრავდა და უკრავდა.

ბუნების ამ დიდებულ სურათს ჰეშმარიტად რომ ლაზათს მატებდა იტალიელის ერთი ციკქნა ინსტრუმენტით.

— კარგად კი უკრავდი. კინაღამ მეც ტირილი დაიწყე, — უთხრა ჩოფურამ.

— ყველაფერი კარგი აღამიანებმა ღმერთებს უძღვნეს, — თქვა იტალიელმა.

— მაშინ რა იცოდნენ აღამიანებმა, რომ ღმერთები თვითონ იყვნენ.

ჰოდა, იმ იტალიელის ნაჩუქარი ეს ტუჩის გარმონი აწანეს ახლა ჩოფურას. დიდხანს აწვალეს, ბოლოს პირობა ჩამოართვეს, რომ ვაგონში საერთოდ აღარ დაუკრავდა და ისევ დაუბრუნეს.

ვარშავასთან ერთად ის ჩოფურაც გამახსენდა, რომელსაც ცხვირზე მაშინაც აჩნდა იმ ორი ფართო კბილის ანაბეჭდი, რომლითაც სენიორ მარტელინო სორენტოში ხბოს სუქებს მიირთმევდა.

რა არ ხდება ქვეყანაზე, ზოგჯერ უქილურესად ტრაგიკულსა და კომიკურს შორის ისეთი მცირე მანძილი რჩება, რომ მშვიდი ჰიანწველაც ვერ გაერთევა.

მარჯვენა თვალი, როგორც იყო, გავახილე, მეტკინა, მაგრამ მაინც ვავახილე. პირველად მხოლოდ ორი აჩრდილი დაეინახე. მერე ამ ორიდან ერთი მთლად გათეთრდა. იგი ფიქრია იყო. მედიცინის და ფანჯარასთან იდგა, მარცხენა ხელი რაფაზე დაეყრდნო, მარჯვენათი დონიჯი შემოეყარა. ზუსტად ასე მდგომი ეს ქალი ბევრჯერ მინახავს ვისლის ახლოს, ორსართულიანი შენობის აივანზე.

— წყალი!

ფიქრია ჩემთან მოვიდა. წყალი კოვზზე დაასხა და გამოიწოდა.

მართლაც და ძალიან მინდოდა წყალი. მხოლოდ ერთი ყლუბი წყალი. პირი და ხახა მთლად გამშრობოდა.

— დალიე, გენაცვალე, — გაისმა მისი დაშაქრული ხმა.

დავლიე, მეორე კოვზიც გამოვცალე, მესამე, მეოთხე.

— გტკივა რაიმე?

ყველაფერი მტკიოდა.

— არა.

— ჰო, მალე გაგიარა. მისამართი მიიხარო, მშობლებს შევაცხობინებ.

— არა.

— ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს გავაკეთოთ.

— არაა საქმის.

— აბა წარმოიდგინე, ვინ იცის, როგორ ნერვიულობენ ახლა ისინი.

— არ ნერვიულობენ. მშვიდად განისვენებენ. იგი დაჟინდა. იქ, კუთხეში ვილაც ქალმა ამო-

ხარა, მერე ვილაცას გამბდარი ხელი დაეშვა ჩემს შუბლზე. ეს უკვე ფიქრია არ იყო, ფიქრიას ხელს ვიცნობ. იგი უფრო ფაფუკია, უფრო გაწაფულიც. ეს ხელი კი სულ სხვაა, სულ სხვა...

— ვაი, შვილო!

ხელი ისევ მოშორდა ჩემს შუბლს და შავი აჩრდილი კვლავ გამოჩნდა რაფასთან.

ის. — მგონი დაიძინა.

ფიქრია. — ახლა დაიძინებს და მერე უფრო მხნედ გაეღვიძება.

ის. — საცოდავი, სულ ბავშვია!

ფიქრია. — რამდენი მაგისტანა მომკვდარა ჩემს ხელებში.

ის. — საშინელებია.

ფიქრია. — ერთი, როცა მოიყვანეს, სულ ქეთინოსა და დათოს ახსენებდა. თურმე მისი შვილები ყოფილან. გონს რომ მოეგო, მთხოვა გულისჯიბიდან ბავშვების სურათი ამოეღო. თხოვნა შეეუსრულე. სურათს აკოცა, მერე გულზე დაიდო. ასე გათავდა ის უბედური. მთლად ბავშვი კი იყო, ორი პაწიას დატოვებდა როგორ მოასწრო (მეორე ქალმა თვალზე ცხვირსახოცი აიფარა).

ის. — ქმარი, ორი ძმა და უფროსი შვილი იმ ჯოჯობეში დაეკარგე. ნეტავ რისთვისღა დავეთრევი ამ ქვეყანაზე, მაგრამ ამ ერთადერთს ვუყურებ. ამას რომ რაიმე მოუვიდეს...

ფიქრია. — რაღა უნდა მოუვიდეს, რაც გადასატანი იყო, გადაიტანა.

— წყალი! — ეს უკვე ჩემი ხმა არ იყო. ამას სხვა ამბობდა.

ისევ გაისმა მალაქუსლიანი ტუფლების კაქუნი.

— ახლა კი დაიძინე, დაიძინე, ძილი გარგებს, — რულმოღებულს ნანსავით ჩამესმოდა ფიქრიას ხმა.

როცა გამეღვიძა, მზე ფართო ფანჯრებს ადგა. ზამთრის მზის ფერმკრთალი დისკო მკრთალად ლიციციებდა ცაში. ჩემს გვერდით მწოლარე ჰაბუკი ბალახებზე შემადლებულიყო, თავი მთლად ბანდით ჰქონდა შეხვეული. ისეთი კეთილი ღიმილით მომჩერებოდა, რომ შემშურდა კიდევ. ღიმილი რაა, ღიმილიც რომ შეგშურდება...

— სტუდენტების გადაბრუნებას ხომ არ აპირებდით? ეგ ძნელი საქმეა, ძმობილო, ოპელი ყოფილიყო, კიდევ სხვა.

— არც შენ ვადგია კარგი დღე.

— მეც საკმაოდ მომხვდა. მაინც ისეთი რა დავემართა, ამხელა მანქანა როგორ ვერ შეამჩნიე?

— მანქანას, როგორ ვერ შეგამჩნევდი, მაგრამ ვაგრობდი, როცა გარბიხარ, ხომ იცი, მთელი უბედურება მაშინ ხდება. ფორტზეც ზუსტად ასე იყო.

— ჰო, ეგ სწორია. მაგრამ ფორტი სხვაა, აქ რაღა მიგარბენინებდა?

— ერთ ტიპს მოვჩანთე, მისმა გოგომ ყვავილები დამაყრევინა და ის კი გამოვსარჩლა.

— მაგრად თუ მოადევნი მაინც, ღირდა ხელის ვასკრად?

— მგონი თავი გავუტეხე, ნამეტანი მომივიდა. ახლა კი ვდარდობ, რაღა ეშველება. ისე ძალიან ნერვიული ვარ. ომმა მთლად მოშალა.

საბანი კბილებში ჩავიჩარე და მაგრად დავეშეყეყევილი დაძაბული მომჩერებოდა.

— ომმა ბევრს აურია გზაკვალი, მაგრამ ახლა ყველაფერი თავის რიგზე ეწყობა. თუ სწავლობ სადმე?

— არადა. საშუალო დავამთავრე თუ არა, ფორტზე მიკრეს თავი. ახლა კი, ხომ იცი, მოწყობა რა ძნელია!

პალატაში ფიქრია შემოვიდა.

— თქვენ უკვე საუბრობთ? გამარჯობა, შენ უკვე ლაპარაკის ხასიათზეც დამდგარხარ, ეს კარგი ნიშანია.

მ ა მ ი ლ ა

მოსკედა ხოლმე გაწაფხულის ღვარი და თქეში, პრილა ასფალტს გადასილავს ღამი და ხრეში, მე კი ვზივარ და ხართს ვგზავნი ვარდობის თვეში: თერჯოლა, გოგნი, მამიდაჩემს, საკუთარ ხელში.

თერჯოლა, გოგნი: — გაგახსენდით, ჩემო სერებო? თერჯოლა, გოგნი: — ჩემო მიწავ, ჩემო აყალო! თერჯოლა, გოგნი: — მაპატიეთ, თბილისელებო, — თერჯოლა, გოგნი: — ქარაფებო, მაღალ-მაღალო...

აი, ასეთი, ორი ბარტყით, ერთი ჩემოდნით, ჩამოვდიოდი და სიყვარულს თქვენსას ვჩემობდი, თქვენსკენ სატვირთო მანქანებით, რყევით, რახრახით, მოვკროდი, როცა დასხლტაზე იყო ჩახმახი.

ჩვენს ორდობეში უცნობიც რომ ჩავივლი ვინმე, მზად გაქვს სალამი — გულუკეთილი, ქართული, ქველი.

აქ კი ისეა გაქვდილი ტრამვაის მღვიმე, თითქოს ერთ აღმართს შესდგომია ქალაქი მთელი.

მაგრამ რას ვამბობ, რა დროს ეს არის, მამიდა, ვხედავ, შთვარიაში თოხნი და ხარავ, მამიდა, ვხედავ, მოფრენილა ჩვენი მერცხალი, მამიდა, სახლი რად დაგვიჩრა ღვთის ანაბარა...

ვაიმე, როგორ წამოწრილია ღელეში კილი, ვაიმე, როგორ აიტანე ამხელა სვრელი,

ვაიმე, როგორ გებრალბება წიწილა ჩვილი, ვაიმე, როგორ გეამება მინდორი კრელი

როგორ გამწვიდებს მსხმოიარე ვენახი სხვისი, მეზობლის ყანამ თუ ივარგა, ბავშვივით ჭარობ... მამიდა, შენ ხომ სასწაულის გამხადე ღირსი და ხალხის გულთან მიმყვანე, სიკეთის ღვარო:

თავის განწირვა, მოყვასისთვის თავის დადება, ტკივილის ნიჭი, თანაგრძნობის ნიჭი ვეება, — აი, რა ვნახე აღმართული ბარკადებად, აი, რა ქუხდა, დაგრაგნილი მდინარეებად.

აი, რით ცოცხლობს ქალაქები ცაღანაზიდი, მძღავრ ხელოვნებას ჩვენსას თურმე, აი, რა კვებავს! — გულისხმიერნი ვიყოთ უნდა! — ასე გავხსნიდი მე ყველა შიტინჯს, ყველა სხდომას და ყველა კრებას.

რა ხმამაღალი არის სიტყვა — „კეთილშობილი“, ალბათ ამიტომ იშვიათად ხმარობენ ზოგნი, მაგრამ რა ვქნა თუ ასეთია ჩემი სოფელი, ჩემი ბარდნალა, წინოწმინდა, საწირე, გოგნი.

და ახლაც, როცა დასხლტაზე არის ჩახმახი, მშველის ზმანება, რომლის ხილვაც ესოდენ მიყვარს:

გაუგონია მამიდაჩემს შაშვის ტახტახი, — იციანის, ტირის, თავსაფრიდან იშორებს ბირკას.

* * *

ხომ გვავსებს ჩამქრალი მნათობის შუქიც უტყარი ნეტარებით, შორიშორს იარეთ, ბატონო, ასე შორეთული მეყვარებით.

როგორც ხანდაშულმა ირემმა, ტკვიანი თვალები მომანათეთ, გამშორდით, როდესაც ინებებთ, ღვთიური ნაკვთები მომანატრეთ.

მომწერეთ: „იდექით ჰადრებთან, ვით ძალზე გვიანი პატიება, პოეტ ქალს როგორ გეკადრებთ ქუჩაში უმწყოდ ატირება“...

ან სულაც დახიეთ ბარათი, — რა ვიყავ სხვებთან შედარებით. დარჩით ვარსკვლავივით მარადი, ასე შორეთული მეყვარებით.

* * *

რას აკეთებენ ირმები ტელევიზორის მერე... ჩამოთავდება ფილმები, თვალებს დახუჭავს ტელე... რაზე ფიქრობენ ირმები ტელევიზორის მერე?

არ შეიძინებენ ტყვეობას, ცივი კედლების სალტეს? ერთი მეგულის მათ შორის, ირემს მაინც არ ჰგავდეს, რა უღმერთოა ის ერთი, ნეტავი ღმერთი სწამდეს...

ან სიტყვის რამე ესმოდეს, ან გაოცებულ თვალთა, იამაყებდა ესოდენ, ლექსად რომ ამოვარდა, ფერად სტრიქონთა ხარკეში იპაექრებდა ქართან.

ვის უნდა ეს პოეზია, გინდა უკულმა წერე: წავიდა... სხვა გზით წასული ლექსად ვერ ავამღერე...

რას აკეთებენ ირმები ტელევიზორის მერე?

ფიქრია ჩემს საწოლთან შეჩერდა. — წუხელ მთელი ღამე ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რა ნაცნობი ხმაა. თითქოსდა გუშინ იყო ეს ხმა რომ მესმოდა.

— დიხ, ამ ხმას თქვენ ისმენდით ვისლასთან, პატარა ორსართულიანი სახლის აივანზე. ფიქრია დამაკვირდა.

— ვაჟა, ღინღლია ბიჭო, ეს შენა ხარ? ფიქრის კრემლები ზედ ლოყებზე დამეცა.

— ასევე დეიდა ფიქრის პაციენტი ვახდი? მოდი. გაეცოცა, ჩემო ბიჭუნ!

ფიქრია დაიხარა, ლოყაზე მაგრად მაეცოცა, კრემლებიც ბლომად დამაყარა.

— აბა, ახლა მიამბე, სად ხარ, რას აკეთებ?

— მერე, დეიდა ფიქრია, ახლა რაღაც ვერ ვეწყობი ლაპარაკს.

— ჰო, მერე იყოს. ახლა კი ეს ფაფა შესასწავლ. რახანა დევს და ხელიც კი არ გიხლია.

— ფაფას კი შევთქვლევ, მართალი გითხრათ, მომწვიდა კიდეც.

ფიქრია წამომაყენა. ზურგს უკან ბალიშები შემიწყო. წინ თეფში დამიდა.

— არა გიშავს, მოტეხილი არაფერი გაქვს, დაბეგვილი ხარ მხოლოდ საცეხვი ლობიოსავით, ორღელეში ყველაფერი გაივლის.

ფიქრის ტალარაშერული თმები ზედ სახეზე მეყრებოდნენ და მიღრინებდნენ. იგი ცოტათი ჩასუტებულა და ახლა მოძრაობის დროს მძიმედ სუნთქავდა.

ნელა ვიწყე ფაფის ტამა. გემრიელი ფაფა იყო,

გულდაგულ მივირთმევედი. ის იყო თეფში პირწმინდად მოვასუფთავე, რომ პალატაში ვილაღ მილიციელი შემოვიდა.

— რომელია მერაბ გიორგაძე? — იკითხა მან, ძალიან მშრალი, ოფიციალური ტონით.

— მე გახლავართ, — უპასუხა ჩემს გვერდით მწოლარემ.

მილიციელმა სკამი მეზობელთან მიიტანა, სასთუმალთან ჩამოჯდა.

— იცით ალბათ თუ რისთვისაც მოვედი?

— ვიცო, — უპასუხა მერაბმა და სახიდან ნელნელა ჩამოეწმინდა წელანდელი ფაქიზი ლიმილი. მის მაგივრად კობი შეეკრა, შუბლზე თოკებივით დაეკომნენ ძარღვები.

— სიმართლე უნდა მოთხრათ.

— არც ვაპირებ ვიცრუო.

მილიციელმა ბეჭებზე მოგდებულ ხალათი გადაიწია. ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო. მხარზე ხალათის კიდე გადაუტურდა და ოფიცრის სამხარესაც მოეკარი თვალღი.

— აბა დავიწყეთ.

— მე და ჩემი ამხანაგი ქალიშვილი მოვიდოდით.

— რა ჰქვია იმ ქალიშვილს?

— ამას, მგონი, თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. თუ ძალიან გსურთ მისი ვინაობის შეტყობა, არც ესაა საიდუმლო. იგი ნანა ხომერიკი გახლავთ. ჰოდა, მე და ნანა ქუჩაზე გადავდიოდით, ნანა შემთხვევით ვილაღ ყმაწვილს დაეჯახა, ყვავილები დააყრევინა...

ყურები ვცქვიტე, თეფში უხმაუროდ დავდე

ტუმბოზე და მერაბისაკენ გაიხედე. იგი გულაღმა იწვა. თვალეში ჭერისაკენ აეყარო და ისე ბუტბუტებდა.

— იმ ბიჭმა რაღაც თქვა, მეც რაღაც. მოგადევი, მანაც მომადო, ეს იყო სულ.

— სახე არ გახსოვთ?

— არა, ყველაფერი ეს სულ რაღაც წამებში მოხდა.

— რომ შეგხვდეთ, თუ იცნობთ?

— აბა რა ვიცი. შეიძლება ვიცნო, შეიძლება სულ აზრზეც ვერ მოვიდე. წინასწარ ამის თქმა ხომ იცით, ძნელია.

— ზულიგანი ყოფილა.

— ჰო, ცოტათი ჰგავდა.

— ეს შემთხვევა ჩემს კისერზეა, უნდა ვიპოვოთ დამნაშავე, ასე კაცის გამეტება იქნება?

ტანში გამეცრა, ცივმა ოფლმა დამასხა. კიდეც კარგი, რომ მერაბი ჭერისაკენ იყურებოდა და არა ჩემსკენ.

— არ ვიცი, როგორ ვიპოვოთ. მგონი ვერასოდეს ვიპოვოთ. არც ნანას ახსოვს მისი სახე.

— კარგი, კიდეც შემოვივლი.

მილიციელი გავიდა. გადავბრუნდი, დაძინება ვცადე, არ ჩამეძინა.

— ვაჟა!

არ ვუპასუხე.

— ჰო, მერე გეტყვი...


ჯანაბას მისი თავი, ოღონდ ახლა არაფერი თქვას და...



მთა-
თუშეთის
კვიზაქები

ფოტო
მ. თურქიანს
და
პ. დარვიძისა





ბირსის ღვინის ქარხანასთან




ძველი ანაკის კოლმეურნობის მოწინავე უფროსის შერთულები ნ. ზურაშვილი და მ. ბანისაშვილი.



ძველი ანაკის მუდინაბები (მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. ჩალაბაშვილი, მ. ბეგიაშვილი და გ. ტალიაშვილი

სიღვალე გავანახე

უცხო
დაკვირვებისა
და
ს. თევზაძისა



ბირსის ღვინის ქარხნის დირექტორი მ. ფერაძე (მარჯვნივ) და ნ. ჩუღუაშვილი უფროსის სინის იღებენ



მთიანეთი

ფოტო თ. ფურცხვანიძის



მობონაბაგი ქართვალ მფარლაგზა

გასილ ბარნოვი

ვასილ ბარნოვი ფრესკიდან ჩამოსულ წმინდანს ჰგავდა. თეთრი გრძელი წვერი... სუფთა, დაწმენდილი და გამბდარი ხახე... საშუალო სიმაღლის, თხელი ტანისა, დინჯად, დახალი ხმით საუბრობდა ყოველთვის. სიარულიც აუჩქარებელი იყო. ქუჩაში გამოდგოდა სათვალეებით, მუდამ ქაბით ხელში...

პირველად იგი ვახე მისხავე საიუბილეო საღამოზე, 1919 წელს. ეს იყო მძიმე დრო ქართველი ხალხის ცხოვრებაში: შიმშილი, სიღარიბე, გაპირება ქართველი მწერლების ცხოვრების თანამგზავრად გადარჩეულიყო, მაგრამ ისინი, ჩვენი ერის სიყვარულის გამო, ყოველივე ამას უდრტივდელად იტანდნენ და კეთილშობილურად ემსახურებოდნენ ხალხს. ერის მოწინავე ერთგულ შვილთა შორის ერთი ბირველთაგანი იყო ვასილ ბარნოვი. საიუბილეო საღამომ მკრთალად ჩაიარა. ქართველი ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი დებულადა მასში მონაწილეობას. მთავარმა მოხსენებამაც ვერ დატოვა მხმენელზე დიდი შთაბეჭდილება, იგი მკრთალი გამოდგა. მცირე სამადლობელი სიტყვით გამოსულ მწერალს დაშწრე საზოგადოება აღერთოვანებით შეხვდა. იგიმთვის ცხადი გახდა, იგი რაოდენად პოპულარული იყო მისი სახელი ხალხში.

ვასილ ბარნოვის მეორედ შეხვედი ახალგაზრდობის ეურნალ „მომავლის“ რედაქციაში, სადაც დასაბეჭდად მოიტანა თავისი ნაწარმოებები. ზოგიერთი კიდეც დაიბეჭდა ამ ეურნალში. რედაქციის მუშაკები დიდი მოწინავეთ ხვედებოდნენ მსცოვან მწერალს. ხშირად რედაქციაში იმართებოდა საუბრები. ერთ-ერთი საუბრის დროს მან მითხრა: „მეშინია ერთი და იგივე ხასიათი ერთნაირად არ გავიფიქროს სხვადასხვა ნაწარმოებშიო. ეს შეხატლოა მომივიდეს არა მხატვრულ საშუალებათა სიღარიბის გამო, არამედ გულმამოწყობით. ჩემს ნაწარმოებთა გმირებს ქაღალდზე გადატანის შემდეგ, თითქოს ყოველთვის თავიდან ვიწორებო“.

იმხანად ვასილ ბარნოვი უკვე მრავალი ინტორიული რომანისა და მოთხრობის ავტორი იყო. ამიტომ რედაქციის მუშაკებსა და მწერალს შორის უმთავრესად მათ შესახებ წარმოებდა საუბარი. მასხვს, ერთი საუბრის დროს მან თქვა: „ინტორიული მოთხრობის წერის დროს მე, უპირველესად, ადამიანზე ვფიქრობ. ადამიანის სული რთულია და ამიტომ იგი ნაწარმოებში ფილოსოფიური სიღრმით უნდა იქნას წარმოდგენილიო. ამ მხრით, ყოველი წოდებისა და მდგომარეობის ადამიანი მდღიარ მასალას იძლევა. ინტორიული შემთხვევები და ფაქტები საუცხოო თემაა მორალური პრობლემების გარკვევისათვის. მე საკუთარი ფეხით მაქვს მოვლილი ის ადგილები, სადაც მომდინარეობს ჩემს გმირთა მოქმედება. მარტო ქრონიკები და დოკუმენტები არაა საკმარისი ჭეშმარიტი ნაწარმოების შექმნისათვის. ხშირია შემთხვევა, როდესაც დაკვირვებული მწერალი ქრონიკის ორივე სტრუქტონის საფუძველზე ქმნის რომანს და მოთხრობას“. ამის მაგალითად, მან დასახეილა ანატოლ ფრანსის „თაისი“, რომელსაც იგი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა. ეგრეთული მწერლებიდან მას ყველაზე მეტად სწოვდა ანატოლ ფრანსის მოსწონდა.

ვასილ ბარნოვის მესამედ შეხვედი საქართველოს მწერალთა ყრილობაზე, 1926 წელს. ამ ყრილობაზე იგი გამოვიდა დრმა შინაარსიანი სიტყვით. მისი სიტყვის მთავარი აზრი ის იყო, რომ მწერალი ახლოს უნდა იყოს ხალხთან, რომ მას არ აქვს უფლება განეგე გაუდგეს ცხოვრებას, მასში მომხდარ ძვრებს. ამიტომ იგი გულმხურვადედ მოუწოდებდა მწერლებს ენერგიულად ჩაბმულიყვნენ ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

ოცდაათიან წლებიდან უფრო ხშირად ვხვდებოდი გამოჩენილ ქართველ მწერალს. ამ ხანებში ვაგრძობდი მასალას მისი შემოქმედების შესახებ, ვამზადებდი მონოგრაფიულ ნარკვევს მის შესახებ. იმხანად ვასილ ბარნოვი უკვე ლოკინად იყო ჩავარდნილი. ვთხოვე და მასთან ბინაზე წამიყვანა მისმა უახლოესმა მეგობარმა, ჩვენმა დამსახურებულმა მოღვაწემ თედო სახოკიამ, რომელმაც, როგორც ცნობილია, დიდი შრომა გასწია ვასილ ბარნოვის ნაწარმოებთა გამოცემისათვის. მისვლისთანავე მოხუცმა მწერალმა კმაყოფილება გამოთქვა „სამი რომანის“ გამოცემისათვის (1980 წელს), რომელსაც თედო სახოკიას მიერ დაწერილი ვრცელი ბიოგრაფია ჰქონდა დართული და აგრეთვე ჩემი პატარა წერილი ვასილ ბარნოვის შემოქმედებაზე. მართალია, ეს წერილი რამდენადმე იმ დროს გავრცელებული, ვულგარული სოციოლოგიის გავლენით იყო დაწერილი, მაგრამ მსცოვანმა მწერალმა ეს სრულად არ მაგრძობინა.

შემდეგ სიმონ ჩიქოვანმა და მე ერთად ვინახულეთ ვასილ ბარნოვი. იმხანად მწერალთა კავშირის გამომცემლობა ამზადებდა მისი გამოუქვეყნებელი ან ადრე ეურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ნაწარმოებების კრებულს.

ამ ოქახში ხშირი სატუშარი იყო ჩვენი სახელოვანი პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელიც ვასილს განსაკუთრებით უყვარდა და რომლისაგანაც, როგორც შემოქმედისაგან, ბევრს მოელოდა. „გიორგი ლეონიძე დაამშვენებს ქართულ ლიტერატურასო“, ხშირად უთქვამს ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეს.

მასხვს, ერთ საღამოს ვასილ ბარნოვთან ამყოფებოდნენ თედო სახოკია, პროფესორი ანდრია ბენაშვილი, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე და სხვები. ჩამოვარდა საუბარი მხატვრულ პროზაზე, ამ საუბარში ვასილი დიდ მონაწილეობას დებულადა. იგი როგორც შეხანიშნავი მცოდნე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, მაინც გამოყოფდა, მაღალ შეფასებას აძლევდა ქართულ სახულიერო პროზას. იგი უნიკალური მოვლენაა მხოლოდო ლიტერატურაში, მხოლოდ ძველი ბერძნული პროზა უწერებს მას წინო. მწერლის ამ ავტორიტეტულ შეხედულებას ყველა ეთანხმებოდა. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა მსცოვანი მოღვაწე გიორგი მერჩულეს ბრწყინვალე ნაწარმოებს — „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელიისა“. „პირდაპირ განსაკუთრებულა იყო როგორ ჩაიტა ამ მცირე მოცულობის თხზულებამ ამოდენა პრობლემით. მისი მნიშვნელობა განუწომილია ჩვენი ისტორიისათვის და ენობათვის, ჩვენი კულტურისა და ლიტერატურისათვისო, მასში მშვენიერი თემები: რომანტიზმისათვის. აქედან ერთ-ერთი მე გამოვიყენე ჩემი „ტრფია წამებული-სათვის“, და ვფიქრობ, ამიტომაც ეს ჩემი პირშიო უკეთესი გამოვიდა. მერჩულეს უკვდავმა ნაწარმოებმა რამდენიმე ხნა მოთხრობის თემაც შთამაგონა. მათ უსაბოლოდ დავწერე, თუ დამცუვდა სიცოცხლეო“. სამწუხაროდ, ვასილ ბარნოვმა ვეღარ შეასრულა თავისი განზრახვა, იგი მალე გარდაიცვალა.

ვასილ ბარნოვი არ შემცდარა, როდესაც თავისი ნაწერების მწარუხელობა გიორგი ლეონიძეს დაავალა. გამორჩენილი ქართველი მწერლისა და მისი თანამშრომლების დიდი შრომის შემდეგ მისი წლებში დაიბეჭდა ვასილ ბარნოვის თხზულებათა ათმედიო, თუმცა მასში ყველაფერი არ შესულა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. ერთად თავმოყრილმა ნაწარმოებებმა დადასტურეს შეხანიშნავი, უაღრესად თავისებური მწერლის შემოქმედების მდიდარი შინაარსი, მისი ეროვნული კლორითი, მისი მხატვრული მნიშვნელობა.

ი ე თ ი მ გ უ რ ჯ ი

იეთიმ გურჯი იყო პოპულარული სახალხო პოეტი, სამშობლოს, ძმობისა და სიყვარულის მომღერალი. მისი ნამდვილი გვარი — დაბღვილია. იგი თბილისელი იყო. დაიბადა 1875 წელს, ღარიბი ხელოსნის (დაბაღის) ოქახში. მას არავიფიქროს საკოლა განათლება არ მიუღია, წერა-კითხვა თვითონ ისწავრა. სახალხო პოეტმა გვიამბო, რომ იგი „ხშირად დამხვავდით თურქებ ქორწილებში, როგორც კარგი ხმის პატრონი და პოეტების ლექსებს ამღერებდნენ“. ეს ხმღერები ყველას მოსწონდა. შემდეგ მან თვითონ დაიწყო საკუთარი სასიმღერო ლექსების გამოთქმა, რაც ფართოდ გავრცელდა ქალაქის მცხოვრებთა შორის.

პირველმა რევოლუციამ იეთიმ გურჯს ბაქოში მოუსწრო. იმხანად იგი ბაქოს ნავთის სარეზერვუარში მუშაობდა. ბაქოში იგი უშუალოდ გაიცნო მუშების მძიმე ცხოვრებას, მათი შრომის საშინელ პირობებს. ამ თემის მან არაერთი ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსებში იგი გამოდიოდა მშრომელთა მოსარჩელედ. იეთიმ გურჯი რევოლუციურ ბრძოლებში დებულადა მონაწილეობას. ამიტომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, სხვა მოწინავე მუშებთან ერთად, იგი დაპატიმრეს მეფის მოხელეებმა და გადასახლეს ვოლინის გუბერნიაში. გადასახლებიდან დაბრუნდა 1912 წელს, მაგრამ ამირკავკასიაში ყოფნის უფლება არ მისცეს — მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და გამოსცა ლექსების რამდენიმე კრებოლი.

იეთიმ გურჯი გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, 1940 წლის 15 თვესს. მის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. სხვებთან ერთად ქართველი მწერლებიდან იქ იყვნენ იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, შალვა აფხაიძე, შალვა დადიანი, ლადო ასათიანი, ამ სტრიქონის ავტორი და სხვები.

პოეტი გამოასვენეს ვარდის მოედანზე (ავლაბარი) არსებულ აღმოსავლეთის მუსიკოსთა სახლიდან. პროცესიის წინ მიქქონდათ იეთიმ გურჯის სურათი. პროცესიის მიუძღოდა ორი ყარაოხელი ძაბილით „გამოდით, ხალხო, იეთიმას მოასვენებენ!“ კუბო მიქქონდათ აშულის ძველ მეგობრებს. მიუხედავად იმისა, რომ ავლაბარდან სასაფლაომდე საკმაოდ დიდი მანძილი იყო, განსვენებულის კუბო სულ ხელით მოქქონდათ. სხვათა შორის, იეთიმ გურჯის ორმა მეგობარმა გზის მთელ მანძილზე კუბოს მხარი არ გამოაცალა. საფლავზე სიტყვები წარმოთქვეს იეთიმ გურჯის მეგობრებმა და მისი თავისებური ნიჭის თაყვანისმცემლებმა; სიტყვების შემდეგ შეასრულეს იეთიმ გურჯის ლექსებზე შექმნილი მანგები, დუდუკის აკომპანემენტით იმღერეს მისი ცნობილი ნაწარმოებები — „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“, „მე ლექსი არ დამილევა“, „იმა შვილიად ვერ მივიღებ“ და სხვები. გაისუნეს მისი ლექსი ნაბაღზე. ვინც შეხვედრია იეთიმ გურჯს ზამთარში, ყოველთვის სულ ეს ნაბაღი ქონდა წამოსხმული მხრებზე. ის იყო მისი განუყოფელი მეგობარი. სხვათა შორის, ეს ნაბაღი პროცესიის მსვლელობის დროს გადაფარებული ჰქონდა იეთიმ გურჯის კუბოს. აი ამ ნაბაღს მიუძღვნა მან გულში ჩამწვდილი სტრიქონები („ჩემი ნაბაღი“). სამგლოვარო სიმღერებსა და ცრემლებში გვიან ლამემდე გავრცელდა გამოშვიდობება ცნობილ სახალხო მომღერალთან.

იეთიმ გურჯის პოეტური მემკვიდრეობისადმი ინტერესი დღემდე არ შენელებულა. პოეტ-მომღერლის ნაწარმოებები მისი ავტორის გარდაცვალების შემდეგ სუთქერ დაიბეჭდა დიდი ტირაჟებით და მოთხოვნილება მათზე მაინც არ შემცირებულა.

შალვა რადიანი

„ძლივად საკვირველი“... ასე ეწოდება შოთა მესხიას ახალ ნაშრომს, რომელიც ხუთ ახლახანს მიიღო ჩვენმა მკითხველმა. ნაშრომში ფართოდაა მიმოხილული დიდგორის ბრძოლის მიწვევები, თვით ბრძოლის მიმდინარეობა, საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობა. წიგნი ასახულია დიდგორის ბრძოლის უშუალო შედეგი, თბილისის შემოერთება — დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ეს შესანიშნავი დაგვირგვინება.

სამწუხაროა, რომ თვით ავტორი ვერ მოესწრო წიგნის გამოსვლას.

ძალიან მძიმეა და გულსატკეცილი, როცა საზოგადოებას გამოაკლდება ჯერ კიდევ მოხუცებას მიუღწეველი, შემოქმედებითი ენერჯით აღსავსე ადამიანი, შუაგზაზე შეწყვეტს თავის დიდ მოღვაწეობას, შორდება საქმეს, რომელსაც წლების მანძილზე მეთაურობდა. ამ მცირე ხნის წინ ქართველობამ გულწრფელი და საყვაველთაო გლოვით გაცვილია უკანასკნელ გზაზე შოთა მესხია — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი.

„ძლივად საკვირველი“ უკვე აწუხობილი იყო, როცა ავტორი ავად გახდა. საავადმყოფოს მიჯაჭვულს, მოწაფებმა მათ მიერ გასწორებული საკორექტურო ფურცლები მიუტანეს. ცრემლები წასკდა, ჩემი უკანასკნელი ნაშრომი. ვაი, რომ წინათ გრძნობა აუხდა.

მალაღი, ყოველთვის დინჯად, გამოწონილად მოარული, ნელი, ოდნავ დუღუნა ხმით მოსაუბრე, ალერსიანი, შუქიანი თვალები. კაცი, რომელიც დიდსა და პატარას, ნაცნობსა და უცნობს, ერთნაირად თბილად და ადამიანურად ეპყრობოდა, კაცი, ყველას დახმარე, უშურველი და გულკეთილი.

გამოჩნეული მეცნიერის სამუშაო მაგიდაზე დარჩა გამოუცემელი ნაშრომი, უკანასკნელი წლების დაძაბული მუშაობის ნაყოფი — „თამარ მეფე“. საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“, თამარის ეპოქა მეტად საინტერესო და ამავე დროს შესასწავლად ურთულესი პერიოდია. ავტორს ჩაფიქრებული ჰქონდა ვრცელი ნაშრომი, რომელსაც ამომწურავად უნდა მოეცვა ეს ხანა. მან ამ ფართო საკვლევაში გეგმის მხოლოდ ნაწილის განხორციელება შეძლო, მაგრამ რაც მოასწრო, კაპიტალური შრომაა, რომელიც ხსენებული ეპოქის სამოხელეო წყობას, ცალკეული სახელის წარმოქმნასა და მის რაობას, დიდმოხელეთა ვინაობას შეისწავლის. ეს საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში კარდინალური და საპრობლემოა. აქვე დიდი ადგილი აქვს დათმობილი მხარგრძელთა ცნობილი გვარის აღწევა-დაწინაურების დროსა და პირობებს. ქართული, სომხური და უცხოური წყაროებისა და ლიტერატურის მოშველიებით, მათი ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე, შოთა მესხიასთვის დამახასიათებელი საბუთიანობითა და ლოგიკითაა

დასმული და გადაწყვეტილი მხარგრძელთა შესახებ მრავალი სადაო საკითხი. ეს ძვირფასი ნაშრომი, ალბათ ანლო მომავალში იხილავს სინათლეს.

შოთა მესხიას, გამოჩენილ მეცნიერს და მკვლევარს, მრავალი განხორციელებული ნაშრომის ავტორს, კარგად იცნობდნენ მთელს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთაც, მაგრამ ალბათ მათგან ძალიან ცოტამ იცის, რამდენ დროსა და ენერჯიას ახმარა იგი თავის მოწაფებს, როგორ გულით უხაროდა მათი ყოველი წინადადება მათგან ნაბიჯი, რამდენი ჰყავს მამობრივი მზრუნველობით გამოზრდილი.

1965 წლის 1 ოქტომბერს, ამ სტრუქტურის ავტორს, მაშინ საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეს, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მოხსენება უნდა წაეკითხა. ხელმძღვანელი პროფესორი შოთა მესხია გახლდათ. ხელმძღვანელმა სტილისტურად გამართა მოხსენება, მაგრამ ჩემი უფიქროსი „მოსაზრებებისათვის“ ხელი არ უხლია, არა იმიტომ, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო, არამედ იმისთვის, რომ აუდიტორიასთან შეხვედრის, მოხსენების გარშემო აზრის გამოთქმის შემდეგ მე თვით მეგრძნო და გამეწივრებინა ჩემი შეცდომები. დადგა მოხსენების წაკითხვის დღეც. დანიშნულ დრომდე დეკანატი ვიქეი და როგორც იტყვიან, შიშის ციბ-ციბელება მქონდა. გამოცდა საპასუხისმგებლო იყო: მოხსენებას სტუდენტებთან ერთად ფაკულტეტის პროფესორაც ესწრებოდა. მოხსენების ავტორთანთან ერთად, ჩემი ცოტა დეფექტური მეტყველებაც მაფიქრებდა და ამიტომ შინიდან საგანგებოდ წამოვიღე კიდეც წამალი, „ტრიოქსანინი“ დაამშვიდებელი ტაბლეტები. ერთი ცალი ამოვიღე და დავლიე. პათიციტული შოთა იქვე იჯდა თავის მაგიდასთან და ყოველივე ეს დაიხანა. ჩაიღიმა, როგორც სჩვეოდა და ისეთი ხმით, თითქოს რაღაცის შერცხვაო, მითხრა, კიდევ თუ გაქვს ეგ წამალი, ერთი ტაბლეტი მომეცი, მეც რაღაც ძალიან ვღელავო. მოხსენებამ კარგად ჩაიარა, მეც „დავმშვიდდი“ და ჩემი ხელმძღვანელიც იგივე მოხსენება შემდეგ კონფერენციაზეც წავიკითხე; როცა ტექსტი მემანქანესთან უნდა წამელო გადასახებდად, შოთა მესხემ დამიხარა, ერთი დიდი შეგვრა საუკეთესო ქაღალდი მომცა და მითხრა, ასეთს ვერ იშოვნე, ეს მოხსენება შენი პირველი ნამუშევარია და კარგა ქაღალდზე დაბეჭდეო. ეს ორი პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ეპიზოდი ღრმად ჩამრჩა მესხიერებაში.

შოთა მესხია ყოველთვის იმას შთააგონებდა თავის მოწაფებს, წიგნი ჰყვარებოდათ, ერთგულად, მუყაითად ემუშავათ, მაგრამ წიგნის ტყვე არ გახდარიყვნენ. ჯერ საზოგადოების კარგი წევრები, კარგი ადამიანები ყოფილიყვნენ და მერე კი ასეთივე მეცნიერები. თვით იყო ამისი შესანიშნავი მაგალითი.

უდიდესი ტაქტი ჰქონდა. არავის, თუნდაც გაცი-

ლებით უმცროსს, არასოდეს მოახვევდა თავის აზრს, არასოდეს არავის ეტყუოდა ხმამაღალ სიტყვას, — არ უბრძანებდა, თუმცა ამისი უფლებაც ჰქონდა და დამსახურებაც. მის რჩევა-დარიგებებს არასოდეს მიუღია ნოტაციის სახე. ჩვეულებრივ საუბარში გეტყუოდათ და გაგრძობინებდათ ყოველივეს და ასევე მშვიდ საუბარში „გაგაძრობდათ ტყავს“, თუ რაიმე გქონდათ დაშავებული. მასთან თითოეული შეხვედრის შემდეგ ახალი ძალების მოზღვაებას გრძნობდით, გინაროდით, რომ არსებობს ასეთი კაცი, იმედის მომცემი, სიკეთისაკენ მაბიძგებელი.

მეგობრული პასუხისმგებლობის საოცრად დიდი გრძნობა ჰქონდა. რამდენჯერ შეუძლოდ მყოფი, ლოგინში მწოლარე ამდგარა და წასულა იქ, სადაც იგი სჭირდებოდათ და მიელოდნენ. როცა ამის გამო ვინმე მოკრძალებულ საყვედურს ეტყუოდა, იგი ჩაიღიმა და პასუხობდა: „მავან და მავანს დღეს ვჭირდებოდი, დღეს მოელოდა ჩემს დახმარებას, მე რა მეთქვა, შეუძლოდ ვიყავი და ვერ მოვედიო? არ იფიქრებს, შოთა მესხიამ თავი ამარიდა, გუშინ კარგად იყო და დღეს ავად რამ გახდაო“. ბოლო ხანებშიც, როცა უყურნებელი ხენი უკვე მორეული ჰქონდა, არაერთხელ მოქცეულა ამგვარად.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა თავის მასწავლებლებსა და „ნათლიას“ მეცნიერებაში, აკადემიკოს სიმონ ჭანაშიას. შოთა მესხია უნივერსიტეტში ჯერ ფილოსოფიის განხორციელების წინადადება, შემდეგ კი სიმონ ჭანაშიას ლექციებით მოხიბლული ისტორიის ფაკულტეტზე გადავიდა და საქართველოს ისტორიის შესწავლას შეუდგა. რამდენჯერაც კი სიმონ ჭანაშიაზე საუბარი ჩამოვარდებოდა, იგი საჩვენებელ თითს მაღლა ასწევდა და იტყუოდა: „თქვენ მხოლოდ მის შრომებს იცნობთ, ხოლო რა ადამიანი იყო ჩემმა თაობამ იცის. აი, ეს იყო კაცი“. ძალიან უყვარდა თავისი მასწავლებელი და ვაი, რომ სიყვდილშიც მიბაძა, მასავით ადრე წავიდა.

ნმ წელი მეორე ცხოვრების დასაწყისია. აწი იღებოდა კიდევ უფრო დიდი შემოქმედების კარი. ახლა ახლებურად გაშლიდა ფრთებს წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. რამდენი დიდი, ეროვნული საქმის გაკეთება შეეძლო კიდევ. რამდენი სიხარული და გამარჯვება მოელოდა შინ თუ გარეთ შოთა მესხიას, გამოჩენილ მეცნიერს, მზრუნველ მასწავლებელს...

უკვე წარსულშია მშვენიერი, იმედებით, ბრძოლითა და შრომით აღსავსე, მაგრამ ვაგლას, რომ ხანმოკლე ცხოვრება; შოთა მესხია მანაც განაგრძობს სიცოცხლეს, რადგან დრო ვერ წარსოცავს იმ სიყვარულს, რაც მან დათესა. მისი შრომები თვითონ იტყვიან თავიანთ სათქმელს, ხოლო ყველა, ვინც მას იცნობდა, უფლებამოსილია გადასცეს მომდევნო თაობებს: „აი, ეს იყო კაცი“.

მთიელი ქალები ფრონტზე

ოცდაშვიდი წელი გვაშორებს დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან, მაგრამ ხსოვნა იმ ადამიანებისა, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს გამარჯვებისათვის, პატივისცემა და სიყვარული იმათ მიმართ, რომლებიც გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ, მაღლიერ საბჭოთა ხალხს არასოდეს ჩაუჭრება; მათ მიერ განვლილი ბრძოლების მოსაგონებლად ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება.

ამ წერილში მკითხველებს გვინდა გავაცნოთ სურათზე აღბეჭდილი ხუთი მთიელი ქალი. ყველა ისინი, დღუშეთის რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან არიან. სამამულო ომმა გავაცნო, დააკავშირა და დაამეგობრა ერთმანეთს.

დარეჯან ახალშენიშვილი შესახებდავად პატარა, ნაზი ქალიშვილი იყო, ომი რომ დაიწყო, იმ ხანებში ექიმის თანაშემწედ მუშაობდა. ომის პირველსავე დღეს გამოცხადდა დარეჯან სამხედრო კომისარიატში, 27 ივნისს კი უკვე სამხედრო მოსპიტალში იყო უფროს საოპერაციო დად. ის მაინც ფრონტის წინა ხაზისაკენ მიისწრაფვის. 1942 წელს იგი სანიტარულ ბატალიონში ჩარიცხეს. ბატალიონი ბაქოს მოვლით ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე გაემგზავრა. მესამე დღეს ბატალიონმა ფრონტს მიაღწია. დარეჯან და შისი მეგობარი მარია ბოლღაშვილი იმ დამევე მოწინავე ხაზზე გაგზავნეს. დაიწყო ფრონტული ცხოვრების მძიმე დღეები. ჩვენი ქარები მამაცურად უტევენ მტერს, ქარისკაცებს მხარდახარ მიხუცებულდნენ ექიმები და ექიმის თანაშემწეები; ომის გაუთავებელ გზაზე დარეჯანს ბევრჯერ შესცივინია, გაჰყინვია ხელ-ფეხი, სიკვდილსაც ბევრჯერ ჩაუვლია გვერდით ერთი შეხედვით სუსტი ქალიშვილისათვის, მაგრამ იგი არ შემდრკალა, არ დაბნეულა, ასეულობით მებრძოლისათვის შეუხვევია კრილობა, მოუვლია და უნუგეშებია.

დარეჯანი დღესაც ხალხის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება, საოპერაციო დად მუშაობს დღუშეთის რაიონისავე დამუფოში.

სოფელ ტონაში დაბადებულსა და გაზრდილ გოგონას ნინო შალიკაშვილს თვითმფრინავის დანახვისას რამდენჯერ უნატრია ყოფილიყო მფრინავი; ეს ოცნება თან სდევდა მას მამინაც, როცა

ნინო უკვე უნივერსიტეტში სწავლობდა. ის იყო ომიც დაიწყო. ნინო სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა, ხაქეთი კომისიის გავლის შემდეგ იგი საწინიო საარტილერიო პოლკში ჩარიცხეს, თავის ამხანაგებთან ერთად შალიკაშვილს თბილისის სამაერო დაცვა დაავალეს. პროექტორისტი ქალი დღედაღამ დარაჯად იღვა შევანაბადს მთასთან. მას კი გული ფრონტისაკენ მიუწევდა. სურვილიც მალე აუსრულდა. 1948 წელს იგი უკვე ფრონტზეა. მძიმე მოსაგონად დარჩა ნინოს ხსოვნაში იმ წლის თექვსმეტი დეკემბრის სუხიანი დამე, როცა სამაერო თავდაცვის ქალთა პოლკი დნებროპეტროვსკის მიდამოებში ხიდს იცავდა მტრისაგან, რომელსაც გადაწვეტილი ჰქონდა აეფეთქებინა ხიდი, რითაც სურსათსა და საომარ მასალებს იღებდნენ ჩვენი მებრძოლები. პროექტორებთან მდგომი ქალიშვილები მთელი დამე ფხიზლად იყვნენ და მტერს საშუალება არ მისცეს განზრახულის შესრულებისათვის.

ომის დამთავრების შემდეგ ვალდებულნი ქალიშვილი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა, ჩაება მშვიდობიანი ცხოვრების ფერხულში; დღეს იგი დღუშეთის უნივერსიტეტის უდაგას სათავეში და მასზე დაკისრებულ მოვალეობას სასახელოდ უძღვება.

ევა ქავთარაძე სოფელ ხევშაში, მუშის ოჯახში გაიზარდა. ახალდამთავრებული ჰქონდა სამედიცინო სასწავლებელი, ომი რომ დაიწყო, ვინ მოსთვლის რამდენი დაჭრილი მებრძოლისათვის შეუხვევია და დაუამებია კრილობა ევას, მაგრამ მას ყველაზე ცხადად მაინც დაახსოვდა ოფიცერი ტამარკინი, რომელიც მოსპიტალში მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს. სასწრაფოდ სისხლის გადასხმა იყო საჭირო. ევა ერთი წუთითაც არ შეუყვანებულა, მან თავისი სისხლი მისცა მეომარს და სიკვდილს გადაარჩინა.

შინ მშვიდობით დაბრუნებულმა ევამ შექმნა სამგალითო ოჯახი, ქვეყანას აღუზარდა ორი შვილი. მისი ვაჟიშვილი აშუაშად ქარშია და დღეს მაგალითისამებრ ისიც სახელოვანია თავის პოლკში.

ნატალია ახალაშვილი ომის დაწყების წინ თბილისის მეცამეტე პოლიკლინიკაში მუშაობდა ექიმის თანაშემწედ. სწორედ აქედან წავიდა იგი ფრონტ-



სხედან: მარცხნიდან — ნ. ახალაშვილი, თ. ნაზლაიძე; დგანან: მარცხნიდან — ნ. შალიკაშვილი, დ. ახალშენიშვილი, ე. ქავთარაძე.

ზე. ნატალია ქერჩის ბრძოლების მონაწილეა. ციხისხლის, აღიდან გამოჩაყვადთ დაჭრილი მებრძოლები მას და მის მეგობარ ქალებს — ქ. ქესანიშვილს, ტ. ყოჩიშვილს, ლ. ხომასურაძეს, ნ. ტიტინაშვილს და სხვებს. შემდეგ დაჭრილები გადაყვადთ სამშვიდობო ადგილას, მაგრამ არც გემით გადაყვანა იყო ადვილი. ერთ-ერთი რეისის წინ გემი ორჯერ დაბომბა მტერმა და ჩაძირა, გადარჩენილნი გერმანელებმა ტყვედ იგდეს და ხერსონის საკონცენტრაციო ბანაკში ჩაიყვანეს, აქედან კი გერმანიაში, რავენსბურგის საკონცენტრაციო ბანაკში. რა სიწარე არ ნახა და გადაიტანა ნატალია ახალაშვილმა; ფაშისტების ველური ნაშრომდარი ახლაც ატყვია მას სხეულზე, მძიმე ავადმყოფი დაბრუნდა სამშობლოში, გამოჩნდითელების შემდეგ კი ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ პროფესიას.

ფასანაურელი თამარ ნაზლაიძე მეკავშირეთა ნაწილში იყო ჩარიცხული ომის დამთავრებამდე. ყველა ეს ომგადახდილი ქალი კვლავაც ერთგულად ემსახურება სამშობლოს, მათი ერთადერთი და უდიდესი სურვილია იყოს მშვიდობა მთელ ქვეყანაზე, რომ ჩვენს ქალებს აღარასოდეს ეტარებინოთ ჯარისკაცული სამხრები.

თამარ სვინტიძე

ბარლია ბარიაშვილი

სიკეთის მარცვალნი

როდესაც გული შფოთავს და დღეავს, ჩვენ ვემსგავსებთ მეომრებს უცებ. მამული ითხოვს იმგვარ სიმღერას, მაჭა რომ აქვს და... გული რომ უცემს.

ჩვენი გულელების ძაფიც მანახვით, მისი სიმეგრის მინდა გაგება. მე ბალახებში ვეძებ ბალახებს, ვინმეს წამლად რომ გამოადგება.

დავალ წვიმაში და დავალ ქარში, დავალ და კეთილ ფიქრებსა ვლოცავ. ხელს გამოგიწვდი მე მხოლოდ მაშინ, წამოგაყენებ წაქცეულს როცა.

იმის ავ-არგს კი ნურავინ მკითხავს ვინც ერთ თბილ დიმილს ძვირად იმეტებს. სიტყვებში ვეძებ იმდაგვარ სიტყვას, უიმედოს რომ მოგვარის იმედებს.

მეუ გადმოვარეთ აკვნების გულზე, მე მათში უკვდავ სიცოცხლეს ვხედავ. მაგრამ იმ აკვანს სხვაგვარად ვუმზერ, სხვა რომ არწევს და ვერ არწევს დედა.

ბაღნარში ფეხი აუდგამს ნიავს, თეთრი ვარდები დაუკოცნია. მე ვარდზე აღერ შევამჩნევ იას, რადგანაც ია უფრო მორცხვია.

ერთმანეთისთვის ვშობილვართ თვითონ, შურის და მტრობის ვისა აქვს ნება?.. მე ვიცო მზესაც აკლდება სითბო, როდესაც მინდვრად ყაყაჩო კენება.

მხოლოდ სიკეთის მარცვალს ვთესავ და ქვეყნად არვის ვედიდგულელები. მე ვიცო თვითონ ოკეანესაც, რადაცა მართებს ნაკადულეების.

წინაპრის წმინდა ნაკვალევს ვკოცნით და ჩვენ ყველანი ვგავართ მეომრებს. მინდა ვიცოცხლო იმგვარ სიცოცხლით, რომელსაც ვინმე გაიმეორებს.

თ ბ ი ლ ი ს ს

ყოველ დღით ათას ფრთოსანს, შენს ბუდიდან როცა აშლი, ფრინველსაც კი აქცევ მკოსნად და მგოსანმა რა ქნას მაშინ...

შენ გიგალობს ყველა ოდეს მთიდან მთამდე, ზღვიდან ზღვამდე

ყველა ბულებულს მინდა ვჯობდე, სარაჭიშვილს მინდა ვვავდე!


სარაჭიშვილს მინდა ვვავდე, ვანოს ხმა ხომ ჰქუხდა მებად. იმ სალამურს ვკოცნი, ადრე, შუაზე რომ გალიტება.

ლექსის ტრფიალს სხვა რა უნდა, მეც მსურს ვტეკო ხშირ, მეტურით. დე, უდროოდ გატყდეს თუნდა, შემდეგ ჩემი სალამური.

მე აკაკის ხმასაც ვნატრობ, აკაკიც ხომ ბულებულია. საქართველოს არ უგალოს, თქვი ის გული, რა გულია, — ქვა გულია!

ვუმღერ თბილისს, გულის კარი გაუღე მის ახალ ბურჯებს. მოდის სიტყვის ნიაღვარი, ტყვიაც ვეღარ დამამუნჯებს.

მაშ, სიმღერა მსურდეს ოდეს, დიდო მთებო, მიგდეთ ყური. არასოდეს გატყდებოდეს, ნეტავ ჩემი სალამური.



კომუნისტი

კუთრებულ ეფექტს აქ ჰქმნის შესანიშნავი სახე
ჯიხვისა, სალტო-მორტალეს რომ აკეთებს და მასუ-
რებლად არწივი ჰყავს, მის მალდა, ცაში რომ ბო-
ნობს.

იმედა რაზიკაშვილი

გარდასულ გმირთა გახსენება
ეშხს მპატებს სამშობლოს მთა-ბარს...
იმედა რაზიკაშვილი —
— ვაჟა-ფშაველას პაპა —

ჭაბუკური მგზნებარებით, დაუცხრომელი სუ-
ლითა და მღვდვარებით იყო აღსავსე გიორგი კა-
ლანდაძის პირველი ლექსები, რომლებიც ამ ორ-
მოციოდე წლის წინ დაიბეჭდა ქართული ჟურნალ-
გაზეთების ფურცლებზე. მათ შორის უნდა დავსა-
ხელოთ „შამილი“, „თერგდალეული“, „შადრევა-
ნი პუშკინის ბაღში“, „გაზაფხულის გამოღვიძება
მთაში“, „მომღერალი“, „შემოდგომის პეიზაჟი“ და
სხვები. ეს იყო მწერლის პირველი ნაბიჯები ფარ-
თო ლიტერატურულ სარბიელზე. ამ ლექსების
სტრიქონთა ელვარებამ, ნათელმა და მკვეთრმა
სახეებმა მაშინვე მიიქცია ჩვენი ლიტერატურული
საზოგადოებრიობის ყურადღება.

კორდი აბრისის მწეანემ დახურა,
მთის ფერდობებზე აყვავდა ია,
ამწეანდა შინდი და კოწახური,
ხევში გახუნდა ნაწამთრი ლეია.
გაიშრილა კორდზე ნიაგმა,
და გაიხსენა სიმღერა ძველი,
ცას გაუცინა ადამიანმა,
მწყემსმა სალაპურს მოკიდა ხელი...
კლდეს მოაჯახებს გრივლი გზიდან
ხევში გაფრენილ ფაშატის ქიხინს,
არწივს, ლაქვარდში აზიდულ კლდიდან
სალტო-მორტალეს უჩვენებს ჯიხვი.

ვინ მოსთვლის რამდენი ლექსი დაწერილა გა-
ზაფხულზე, და მაინც ახალგაზრდა პოეტმა შესძლო
თავისებურად, თავისი თვლით დაენახა ქვეყნად
ბუნების დიდი გამოღვიძება, გრანდიოზული ზეიმი
ბუნებისა — ზვავების ქუხილითა და სიცოცხლის
დაუცხრომელი მოძრაობითა და ხმაინობით. განსა-

მალალი მოქალაქეობრივი უღერადობა კალანდა-
ძის პოეზიაში მუდამ შეერთებული იყო მხატვრუ-
ლი სახეების სინატიფესა და პლასტიკურობასთან.
ეს თვისება ნათელ ზოლიფით გასდევს პოეტის
ლექსთა კრებულებს („ჩაუქრობელი კერა“, „მზე
შუბის ტარზე“, „სატურფალო“ და სხვა), რომ-
ლებსაც მკითხველი ეცნობოდა განვლილი ათეული
წლების მანძილზე.

გიორგი კალანდაძე აქტიურად მუშაობს საბავ-
შვო პოეზიის სფეროშიც. მის საბავშვო წიგნებს
სიყვარულით უკითხვენ ბავშვებს. ეს წიგნები
ჩვენს ახალგაზრდობას, მომავალ თაობას უნერგა-
ვენ პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის წმინ-
და გრძობას, უღვივებენ მაღალ მოქალაქეობრივ
იდეალებს, ახწავლიან ყოველივე იმის სიყვარულს,
რაც კი კარგი და მშვენიერია ამქვეყნად.

გიორგი კალანდაძის თარგმანებმა, კერძოდ მსოფ-
ლიო ლიტერატურის დიდი ძეგლის, სკანდინავური
ეპოსის „უფროსი ედას“ თარგმანმა ლიტერატუ-
რული და მკითხველი საზოგადოების მაღალი შე-
ფასება დაიმსახურეს.

აღსანიშნავია მწერლის მეცნიერულ-კვლევითი
მუშაობა ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. მკი-
თხველმა ინტერესით მიიღო მისი მონოგრაფიები
და ლიტერატურული პორტრეტები, რომლებიც
ედვენება ჩვენს გამოჩენილ მწერლებსა და საზო-
გადო მოღვაწეებს — ეგნატე ნინოშვილს, ალექ-
სანდრე აბაშელს, გიორგი ლეონიძეს, ირაკლი ზა-
შიძეს, ლადო ასათიანს და სხვ.

ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას გიორგის — შესანიშ-
ნავ პოეტსა და ადამიანს ხანგრძლივი სიცოცხლე
და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები.

გულნარბა ბახტაძე

განთქმული ყოფილა ვაჟაკობით,
მტერს ეტევეზოდაო მგლურად,
ერეკლე მეფისთვის შეუბედავს
ვაჟაკს, გულმართალს და გულადს:
„ორი რომ შენი ბრძანო, ბატონო,
ერთი ჩემიც იდე ყურად!“

გაოცებულა ერეკლე ბატონი,
მოწონებია თქმული:
„შენამც იდეგარქმედი, ფშაველო,
როგორ გამიხარე გული...“

ქარბავი მუხა ხარ, იმედავ,
ფშავის ხევს ამაყად მდგარი,
გრივალი ვერ დაღეწს შენს ტოტებს,
მოდ, დამიმშვენე მხარში!“

ასეთი ყოფილა იმედა რაზიკაშვილი —
ვაჟა-ფშაველას პაპა,
ასეთი ყოფილა პატარა კახი — ერეკლე,
სწორს გითხრობ, განა ზღაპარს!

„თეატრალური სილუეტები“

ახლახან მკითხველებმა მიიღეს ერეკლე ქარელი-
შვილის საინტერესო წიგნი „თეატრალური სილუ-
ეტები“. მასში წარმოდგენილია წერილები მე-19
საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის პირ-
ველი ნახევრის ცნობილი ქართველი მსახიობების
შემოქმედებებზე, ქართული სცენის გამოჩენილ მოღ-
ვაწეებზე (ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე
მარჯანიშვილი, ალექსანდრე სუმბათაშვილი, ელი-
საბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, შალვა
ლაშაშვილი, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი დავითაშვი-
ლი, ვახტანგ გარბი (ვახტანგ გიორგის-ძე ვაჩნაძე).

წიგნის პირველსავე ნარკვევში ავტორი აღნიშ-
ნავს, რომ „ქართული თეატრის ისტორია არ იწ-
ყება არც გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლე-
ბის დასაწყისით, როცა გიორგი ერისთავმა ქარ-
თული თეატრი აღადგინა, და არც სამოცდაათიანი
წლების მიწურულით, როცა ილიასა და აკაკის თა-
ოსნობით თითქმის ოცდახუთი წლის მანძილზე და-
დუმებული პროფესიული ქართული სცენა კვლავ
ამეტყველდა და განახლდა. ქართულ თეატრს ჩე-
ნი ერის შორეულ წარსულში აქვს ფესვები გად-
გმული. თუ ხალხურ საწყისებს მხედველობაში არ
მივიღებთ, პროფესიული ხელოვნება საქართველოს
კულტურული აღორძინების სათავეებს ებჯინება.
ეს თვალსაზრისი ადრე ზოგიერთში ჯერ კიდევ ექვს
იწვევდა, მაგრამ იმ ღრმა მეცნიერული კვლევა-ძი-
ებისა და დამაჯერებელი ნივთიერი არგუმენტაცი-

ის შემდეგ, რაც გამოჩენილი მეცნიერების ივ. ჯა-
ვახიშვილის, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის,
შ. ამირანაშვილის, დ. ჯანელიძისა და სხვათა შრო-
მებშია მოცემული, ეს ეპოქა საბოლოოდ გაიფანტა
და ის საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტად იქცა“.
(გვ. 5-6).

ვასო აბაშიძის სილუეტს, რადგანაც იგი წიგნის
პირველ ნარკვევს წარმოადგენს, წინ უძღვის ქარ-
თული თეატრის ისტორიის მოკლე მიმოხილვა უძ-
ველესი დროიდან მე-19 საუკუნის 80-იან წლე-
ბამდე. დასახელებულ მკვლევართა გარდა, ერ. ქარ-
ელიშვილს მოტანილი აქვს შესაბამისი არგუმენ-
ტები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, არტემ
ახანაშაშვილის, ვასო აბაშიძის, ილია ზურაბიშვილის,
ვალერიან გუნიას, შალვა დადიანისა და სხვათა
გამოკვლევებიდან, აგრეთვე — საერთაშორისო-
სტატიებიდან.

წიგნის ყველა ნაწილს ეტყობა ავტორის თანაბარ
რამდენიმეგვარი თვალის, მასალის ფართოდ
ხელმძღვანელობით, უმთავრესი სპექტაკლებისა და საინ-
ტერესო სახეების გამოკვლევით. ამის მიუხედავად,
ჩვენ მაინც გამოგვყავთ ცალკე სილუეტებს ვ. აბა-
შიძის, ვ. გუნიას, კ. მარჯანიშვილის, ე. ჩერქეზი-
შვილის, შ. ლაშაშვილისა და უდროოდ დაღუპული
ქართველი რეჟისორის და თეატრის ისტორიის
მკვლევარის ვ. გარბის შესახებ.

ქართული თეატრის შესახებ დაწერილ ნარკვე-

ვებს ერ. ქარელიშვილის ახალი წიგნის სახით შე-
ემატა მეტად საინტერესო ნაშრომი; ახლა ქართველ
მკითხველს შეუძლია უფრო ნათელი წარმოდგენა
იქონიოს ჩვენი მშობლიური თეატრის განვითარე-
ბის მნიშვნელოვანი ეტაპებისა და მისი თავდად-
ებული მუშაკების შესახებ. წიგნის ამ მნიშვნელო-
ვან ისიც აღსანიშნავია, რომ თეატრის ცალკეულ
მოღვაწეთა შემოქმედების განხილვის დროს ერ.
ქარელიშვილი არაერთგზის მიმართავს მათ პირო-
ვნულ დახასიათებასაც, მოგვითხრობს მათ მოქალა-
ქეობრივ ღვაწლზე თეატრის კედლებს გარეთ.

ერ. ქარელიშვილის ახლად გამოცემული წიგნი
ავსებს ჩვენს წარმოდგენას ქართულ თეატრის
უახლოესი პერიოდის გამოჩენილ მოღვაწეთა შესა-
ხებზე. იგი დაწერილია მაღალპროფესიულ დონეზე
და ამიტომ დიდი ინტერესით წაიკითხავს ყველა,
ვისაც კი უყვარს ქართული თეატრი.

დასასრულს დავგვჩენია გამოთქვით მხოლოდ
ერთი სურვილი: ავტორმა მისთვის ჩვეული ენერ-
გიულობით კვლავ განაგრძოს თავისი საკვლევო-სა-
ძიებო მუშაობა ქართული თეატრის დღემდე ნაკ-
ლებად შესწავლილ უანგარო მუშაკებზე. ეს საშუ-
რი საქმეა, რადგანაც, რაც დრო გადის, მით უფ-
რო ძნელი ხდება საჭირო დოკუმენტების, მასალებ-
ის, მოგონებების, ცნობების შეგროვება.

წიგნი გამოსცა „ხელოვნება“, მისი რედაქტო-
რია თეატრმოდენე ვ. კიკნაძე.

პაპლე ხვალაძე,

რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლე-
ბელი.

ჩაკატორი გზა

მოთხრობა

ლევალი აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა ქუჩაში. უეცრად მან შორიდან შევხვდა ჩაცმულ ქალიშვილს მოჭკრა თვალი. უცნაურად შეუკრა გული. ფეხი შეაჩერა. შევძახიანი საოცრად ჰგავდა მანანა ლაფაჩს. ჰგავდა კი არა, ის იყო. მაგრამ ეს შევები რა ამბავია, რა უნდა ჰქონდეს მანანას სატირალი და სამწუხარო ბიჭმა ნაბიჯი უფრო აჩქარა, გადასწვებდა ქალიშვილს დასწოდა.

...მანანა და ლევალი ადრე ერთ სკოლაში სწავლობდნენ. მხოლოდ ეს იყო, ლევალია ორი წლით ადრე დაამთავრა საშუალო, პოლიტექნიკურში ჩააბარა გამოცდები, ახლა ის უკვე სტუდენტი იყო. მაინც თავისი სკოლისაკენ მიუწვდოდა გული, მანანას ნახვა ენატრებოდა. მივიღოდა, მიესალმებოდა, ხან რას მოიმიზუნებოდა, ხან რას, მაგრამ ქალიშვილი იდუმალი ინსტინქტით გრძნობდა, თუ რატომ ვერ სცილდებოდა ბიჭი თავის ძველ სკოლას და რა ეწეოდა მას აქეთ.

არც მანანა იყო გულგრილი ლევანის მიმართ. მოსწონდა ეს მუდამ დაძაბული და შვილიდვით მომართული ბიჭი. მოსწონდა, მეტი არაფერი. უხაროდა მისი დანახვა. და არც უფიქრია, რომ ეს რაღაც დიდის დასაწყისი იყო. იმისი დასაწყისი, რასაც სიყვარული ჰქვია. ამასობაში ქალიშვილიმა სკოლა დაამთავრა და სამკერვალო ფაბრიკას მიაშურა. და რატომღაც არ გაუყვირდა, რომ მუშაობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, ფაბრიკის ტიშკართან ლევანი დაინახა.

— შენ აქ დაიწყე მუშაობა, მანანა? — ისე ჰკითხა, ვითომ არ იცოდა. ამ შეკითხვამ მანანა უცებ მოადუნა, ტანში ჯრუანტელმა დაუარა.

— უკვე დიდი ხანია, — უპასუხა მშვილად, — შენ საიდან მოხვდი აქ?

— იცი, ქვევიდან მოვდიოდი, — საითღაც გაურკვეველი მიმართულებით გაიშვირა ბიჭმა ხელი, — მოდა, აქ ცოტა ხნით შეჩერდი. უცებ ვხედავ, შენ გამოდიხარ ტიშკრიდან...

— ვიცი საიდანაც მოდიოდი! — ეშმაკურად ჩაიციხა ქალიშვილიმა.

— იცი, არა? — წამოიძახა ბიჭმა და მიხვდა, რომ დგებოდა წუთი, როცა ამდენი ხნის დაგუბებული სათქმელი უნდა თქმულიყო, — შენ რომ ამ მხარეს არ მიგულებოდე, რა კირი მინდოდა აქეთ!

მანანას გულის ძვრამ მოუშატა, გაუჩრდა. იქვე მდგარ ხის ძირში გაჩერდნენ, ერთმანეთს თვალებში შეჩერდნენ. სიტყვას კი ვერ ძრავდნენ, თიფქონს დამუნჯდნენ.

— მანანა, მითხარი რამე, — შეივებრა ლევანი. იდგნენ ჯა არავის კი არ ამჩნევდნენ, თუმცა ქუჩა ხალხით სავსე იყო.

— მითხარი რამე, — ისევ ამოხდა ლევანს.

— მე რა ვითხრა, შენ ფეხით თქვი, — გულუბრყვილოდ უპასუხა ქალიშვილიმა და ხის ქერქს მტვრევა დაუწყო. და როცა ბიჭმა სიყვარული გაუმხილა, სახეზე აღმოჩნდა გადაუბრუნა, მაინც ვერც პო უთხრა და ვერც არა.

— ნუ ხარ ასე ჩუმად, მითხარი რამე! მე უშენოდ გაძლია არ შემოძლია. იცი, სულ შენზე ვფიქრობ, დავხუჭავ ხოლმე თვალებს და თვალწინ მიდგებარ... მითხარი, შენ ახლა უკვე მუშაობ, დამოუკიდებელი მოქალაქე ხარ.

— მე ოჯახის შვილი ვარ. დედ-მამა მყავს და ვაუკაცი ძმა, უიმართოდ რა უნდა ვითხრა, — მორცხვად ჩაილაპარაკა თავჩაქინდრულმა მანანამ.

— მთავარი მაინც შენი სიტყვაა. მერე, ცხადია მუშაობის გარეშე რა იქნება... არც მე ვარ უპატრონი. თქვი რამე, ან პო ან არა!

— რა ვითხრა, ბიჭო! რაფერ ვთქვა, რომ არ ვიცი. მე არავინ მყვარებია, შენ კარგი ბიჭი ჩანხარ, რა ვიცი...

— არც მე მყვარებია ვინმე, დიდი ხანია მარტო შენზე ვფიქრობ.

— მეც კი მიფიქრია შენზე, ბევრჯერ არა, მაგრამ მაინც მიფიქრია. არ ვიცი რატომ. მოდი, გამიშვი ახლა, მარტო დავრჩები, ხვალ შევხვდეთ, — ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა მანანამ.

მეორე დღეს იმავე ადგილზე შეხვდნენ ერთიმეორეს. მერე უერთმანეთოდ ვეღარა სძლებდნენ. დამთავრდებოდა თუ არა ლექციები, ლევანი კისრისტენით მირბოდა ფაბრიკისაკენ. დამის ცვლაში მუშაობისას მანანას ლევანი აუცილებლად მიაკითხავდა, ბინამდე მიაცილებდა, მერე გახარებული შინ ბრუნდებოდა.

მერე ის იყო, სადაღაც დაიკარგა ლევანი, მთელ თვეს აღარ გამოჩენილა, რამდენი იდარდა მანანამ, რამდენი იტირა ჩუმად, სხვის შეუმჩნევლად...

აგერ ახლა ქუჩაში შეხვდა, ერთი თვის შემდეგ... ლევანი გაუბედავად მიეხალისა.

— სად იყავი, ლევან? გამოიბინა? — უსაყვედურა მანანამ და თვალები ცრემლებით ავსო.

— ეს რამ გაფიქრებინა, მანანა, უშენოდა ყოფნას სიკვდილი მიჩრჩენია, — წამოიძახა აღელვებულიმა ბიჭმა და სახეზე მწვავე სინანული აღებეჭდა. „როგორ დამემართა ეს, რა დემერტი გამიწერა, რამ დამიბნელა გონება“, ფიქრობდა ლევანი და პასუხს ვერ პოულობდა. — შენ მართალი ხარ. მანანა, საყვედურის კი არა, მეტის ღირსი ვარ, მოულოდნელად მომიხდა ბაკურთანში წასვლა და ვერ შეგატყობინე, მაპატიე, შენი ტირიმი!

— ბაკურთანში რა გინდოდა, ისიც ასე სასწრაფოდ?

— შენ ეს მითხარი, ეს შევები რად გაცვია?

— დეიდა დამელუბა, — ისევ ცრემლები გადამსცვივდა მანანას.

— მითხარი, რა მოუვიდა დეიდაშენს? — თანაგრძნობით ჩაჰკითხა ბიჭმა და ქალიშვილს აღერსიანად მოხვია ხელი.

— განა მარტო დეიდა, დეიდაშვილიც, თხუთმეტი წლის გოგონა, ბინაზე მიუხდნენ, გაძარცვეს და ორივე მოკლეს.

— გაძარცვეს და მოკლეს? — წამოიძახა განცვიფრებულიმა ლევანმა და უეცრად საშინელი აღელვება დაეტყო, — როდის მოხდა ეგ ამბავი? — ცხრამეტ დეკემბერს, დღისით...

— ეს მითხარი, მანანა, რა გვარია დეიდაშენი?

— ლაცაბიძე, ლუბა და თებრო. ის მხეცები. მოკვლას მაინც რას ერჩოდნენ უმწეო ქალებს, რაც უნდოდათ ხომ წაიღეს, რა წინააღმდეგობას გაუწევდათ დეიდაჩემი. ან პატარა თებრო?! — გულისტკივილით ლაპარაკობდა ქალიშვილი და ისევ ტირილობდა.

— ლაცაბიძე?! — გაიკვირვა ლევანმა. მანანამ ცრემლები შეიმშრალა და ბიჭს გაოცებით ახედა.

— შენ რა, იცნობდო დეიდაჩემს?

— აბა საიდან, არც გამოგონია, — რაღაც მოშვებულად თქვა ბიჭმა და ქალს უნებურად სახე მოარიდდა, მაგრამ ეს იყო ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით. ან იქნებ მოეჩვენა მანანას.

— შენ რაღაც იცი, ლეო! შეგატყე, რომ ადელდი, როცა დეიდას გვარი გაიგე. მითხარი, თუ იცი რამე? მილიცია აქამდე დამეძებს და მკვლელები ვერ უპოვია. კვადიც არსაით ჩანს იმათი... მითხარი, თუ რამე იცი!

— მერწმუნე, არაფერი არ ვიცი. შენი დეიდა რომ იყო, იმიტომ მეწყინა. ისე კი მასთან საერთო

არაფერი მქონია და არც ვიცი არაფერი, — ნაძალადევი სიმშვილით უთხრა ლევანმა და სცადა კვლავ მიაღერებოდა ქალიშვილს.

ვაჟმა მანანა სახლამდე მიაცილა. საუბარი როგორღაც ვეღარ ააწყეს, ორივე დაბნეული და გაოგნებული იყო.

მანანამ იმ ღამეს ვეღარ დაიძინა. რაღაც საშინელმა ეჭვმა გაურბინა, მაგრამ იმავე წუთს დაწყველა თავისი თავი — ეგ რამ მაფიქრებინაო.

„დემერტო, დამაძინე ისე, რომ აღარ გამეღვიძოს“, ჩურჩულებდა და ტიროდა მანანა.

* * *

მუხდრო ქუჩაში ორჯერ ზედიზედ დაიქეპა რევოლვერმა.

გამფლელბმა არც გახივდეს იქით, ავტომატის ხმაური ეგონათ. მერე ის იყო ქალების წივილი გაისმა — უშველეთ, მოკლესო.

ხალხი აჩოქოლდა; მიცვივდნენ ქუჩაში გაჩერებული მანქანას, საუბრე შოფერს თავი ჩამოედო და გეგონებოდათ სძინავსო, სახიდან კი თქრიალით ჩამოდიოდა სისხლი და მანქანის შიგნიდან უკვე გარეთ, ახვალტზე წვეთავდა. ვილაქამ მოიფიქრა, კედელზე ჩამოკიდებულ ტელეფონს მივარდა და მილიციაში დარეკა.

შემთხვევის ადგილზე უცებ გაჩნდნენ მილიციის უფროსი სანდრო ბეჭაური და მძებნელი ვიქტორ ჩიკვაძე. მათ კვალდაკვალ მოჰყვნენ ოპერაწმუნებული როინ მეღვინათური და პრეპარატურის გამომძიებელი გურამ ნადირაძე.

მილიციის მუშაკებმა ხალხი უკან დასწიეს, ახლოს აღარავის უშვებდნენ.

ისევ გაისმა მანქანის საყვირი. კაბინის კარი გაიღო და იქიდან ქალაქის მორიგე და ექსპერტი ექიმი გადმოვიდნენ.

მორიგე მილიციის უფროსს მოახსენა, ექსპერტი, მოვიყვანო. ნაუცხატევადა რაღაც მოითათბირეს, უფროსმა საჭირო მითითებები გასცა და საქმეს შეუდგნენ.

ის იყო ბინდებოდა და ამიტომ იქაურობა პროექტორებით გაანათეს. ექსპერტი ექიმი ისე ფრთხილად ეხებოდა და სინჯავდა მოკლულს, გეგონებოდათ ეშინია არ გაადვიდოსო. ექსპერტმა მოკლულის პიჯაკის შიდა ჯიბიდან რაღაც დოკუმენტი ამოიღო და იქვე მდგომ მილიციის უფროსს — ბეჭაურს გადასცა.

ყველამ ყურადღება უფროსისაკენ დაძაბა. ვინ არის მოკლული? იგი საკუთარი მანქანის მფლობელი ვინმე დევი ნამორაძე აღმოჩნდა.

ორი ნასროლიდან მოკლულს თავის არეში მოხვედროდა მარტო ერთი ტყვია, რომელიც მეორე მხარეზე არ იყო გამოტყეპი. ბეჭაურმა მოკლულის პროექტურაში გადატანა ბრძანა, ოპერაწმუნებულთაგან მოწმენი ჩაიწერა. აღმოჩნდა მნახველები, რომლებმაც გაიგონეს და ზუსტად აჩვენეს, თუ რა მოხდა სროლის წინ, აღწერდნენ მკვლელის გარეგნობასაც.

დევი ნამორაძე მოკვლა მოქალაქეს, რომელიც მასვე უჭდა მანქანაში.

მოწმემ განაცხადა:

— ჩვენ აქვე ვიდექით, — უჩვენა ადგილი, სადაც იდგნენ, მანქანიდან დაახლოებით ორ მეტრზე, — მანქანა გაჩერდა. იქიდან კაცი ჩამოვიდა და ქუჩაზე გაემართა. შავი, მზის საჩრდილობელი სათვალეები ეკეთა. უცებ მოიხსნა, დაბრუნდა და შოფერსა ჰკითხა — რატომ არ მიდიხარო. რა შენი საქმეა, წაიდე შენს გზაზეო, — უთხრა მან. ეს იყო და ეს. მანქანიდან ჩამოსულმა რევოლვერი გაიძრო, ორჯერ ესროლა საუბესთან მჭდომს, მერე სწრაფად გადახტრა ქუჩა, სირბილით აპყვა აი აქეთ, — მან მიუთითა ქუჩაზე, — და მიიმაღა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ჩვენ ადგილიდან არ დავძრულვართ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გულშემატკივრები

ი. მ. რ. ს. კ.

დანა პირს არ გვიხსნიდა. მოღუშულები თვალს ვარიდებდით ერთმანეთს. გულში ტკივილსა და შეურაცხყოფას დაებუღა.

— რა ქნეს, ბიჭო, ეს რა დღეს მოგვსწავროთ, ჰა?! — დამხრჩვალნი ინდურით დაიხველა ამირანმა.

— რა ქნეს და თავს ლაფი დაგვასხეს! აი რა ქნეს! — გააფიქრა ვენგო.

— ასე მაღალსტატუსად ვერც ერთი გუნდი ვერ წააგებდა! — შექმნილი სიტუაციით აშკარად არასპორტული ფორმით ისარგებლა სარკასტულად მომლომარე ემზარამ.

— დედა, ჩემი სიკვდილი, რას ხედავს ჩემი თვალები, ბიჭო, გაგონილა ასეთი რამე, გეკითხები, რომანა, გაგონილა? მოდი და გქონდეს ამის შემდეგ მათი იმედი. არა, თქვენი არ ვიცი და მე მაგათი საცოდობის მოწმე აღარასოდეს ვიქნები, — ხელი აიღო გულშემატკივრის ფუნქციებზე თამარა დედამ.

რომანას კი დანაშაუგვსავით ჩაეჭინდრა გაბუღვუნებული თავი და რაღაცა უაზროს ბუტბუტებდა. მერე უეცრად წამოხტა და გულში დაგვიხეთქა ყვირილით — თვალთ აღარ დამენახონ! ხომ ვიძახდი ყოველთვის და არ მიჭერებდით, რომ არ ღირს მაგათზე ნერვების დაწვევთა, არც ახლა მე-თანხმებით?

გადავწყვიტე განმეუხტა დაძაბული ვითარება და ავლაქლაქი — აბა რა გვაქვს სანერვიულო და სადავიდარაბო? ხომ კარგად ხედავდით, რომ მათზე იოტისოდენადაც არ იმოქმედა არც საკუთარ კარში მიღებულმა ბურთებმა და არც თავმოყვარობამ. ჩვენც, საერთოდ მოვეშვათ ფეხბურთომანიას და ჯანმრთელობას მაინც შევინარჩუნებთ.

— არა ბიჭო, მაგათი გულისათვის, სწორედ მტკვარში გადავარდები, — მთელი ძალით გაიჭახუნა კარები რომანამ.

— მაგათი თამაშის ცქერას ისევ ჩემი ავცია მე-ზობლის ყურება მიჩვენია, — მთელი გუნდის ინ-

ტერესებს ანაცვალა თამარა დეიდა ლოთი და ჩხუბისტაგი მეზობელი.

— ფეხბურთზე სიტყვა აღარ გამაგონოთ, ის რაღაც პოლანდიის „ტვენტე“ მეყოფა მთელ წელს საჯავროდ, — მკაცრად გადახედა ამირანმა ემზარასა და ვენგოს. ერთმანეთს მტრებოვით დაეშორდით.

მეგობრები ვართ და საღამომობით ისევ ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით, რაც ქვეყნად ხდებოდა და უნდა მომხდარიყო, მოკლედ ყველაფერზე, ფეხბურთის გარდა. ყოველთვის მხიარული და სიტყვა-მოსწრებული თამარა დეიდა გულნათხრობილი გახდა. მის სულს რაღაც სევდა ღრღნიდა. ჩვენც გავუბრუნდით უსაფუძვლო სულელურ დრეჟას, სიღარბისღე მოგვემატა.

გავიდა რამდენიმე დღე და აქეთ-იქიდან, გზაში თუ სახლში მოისმა გაუბედური შიშნარევი ხმები — დღეს ჩვენებს კიდევ ერთი გასვლითი თამაში აქვთო. საათი არასოდეს არც მიტარებია და არც მყვარებია, მაგრამ იმ დღეს ჩემს გაცუბას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ყველა შემხვედრს წარამარა დროს ვეკითხებოდი. ყველაფერს მაშინ მივხვდი, ტელევიზორს მოცახცხე კურდღელივით წინ რომ ავეტუღე და შიშნამდგარი თვალები მის უღანაშაულო უკრას მივაპყრო. მართალია, ამით მე პირობა დავარღვეე, მაგრამ იმედი მქონდა მეგობრები ვერ გამოგებდნენ ღალატს.

ეს თამაში დიდხანს მემახსოვრება. პირველ ტაიმში ჩვენებმა ოთხი მშრალი ბურთი გაიტანეს ძლიერი მოწინააღმდეგის კარში. ლამის იყო იატაკი ჩავანგრიე — ეს არც იქნებოდა გასაკვირო, ახლა ხომ სახლებს ნახად და სათუთად ავებენ; ვცვიროდი, ვღრიალებდი, ვტიროდი და რაღას არ ვჩადიოდი. შემდეგ ანგარიშითვემალდ თამარა დედისთან ვაიქეცი, რომ ისიც გამეხარებინა:

გავალე თუ არა მისი სახლის კარი, ერთი ორომტრიალი და გაშმაგებული ყიფინა შემომესმა. ვენგოს, რომანას, ამირანს, ემზარას, რომლებსაც სინ-

დისზე ხელი აედოთ და ჩემს უჩუმრად მოსულიყვენ ტელევიზორის საყურებლად, თამარა დეიდა ხელში აეყვანათ და ბურთით ჰაერში ისროდნენ, თითქოსდა ის ყოფილიყო დღევანდელი მატჩის გამირი.

შესვენება დამთავრდა და ჩვენც დაფხვნარდით. ტელევიზორის ეკრანს მიწებებულნი, სუნთქვაშეკრულნი, მონუსხულებივით მივჩერებოდით თვალწარმატებულ, აზარტულ, ლამაზი კომბინაციებით აღსავსე, ბრწყინვალე ტექნიკის, თავბრუდამხვევი ინდივიდუალური დრიბლინგების, მოკლედ, ჩვენი შესანიშნავი ქართული ფეხბურთის. დღესასწაულს.

მეორე ტაიმში ჩვენებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს, რითაც დაამტკიცეს, რომ თუ მთელი მონღომება და შესაძლებლობა ჩააქსოვეს თამაშს, მათ წინაშე უძლური იქნება ნებისმიერი რანგის გუნდი.

თამაშის შემდეგ ჩვენს ტრამპსს და აღტაცებას ბოლო არ უჩანდა. ყველა წინა წარუმატებლობა უიღბლობას მივაწერეთ და დავიფიქვეთ, სეპტუკოსმა რომანამ კი თავისი აღვირახსნილი მოქმედებით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ცხოვრებისეულ ქეშმარიტებას, რომ ყოველი ადამიანი როდია ნორმალური. იგი ახლაც დარტყანებულებით წამოხტა და დაგავფთა.

— აი, ხომ ვიძახდი, რომ შეუძლიათ, განა არ ვიძახდი?

როდის, რჯული, ხატი, როდის იძახდა ამას!

— კი იძახდი, რომანა, შეილო, კი — დააშოშმინა თამაშობგვნილი რომანა თამარა დეიდა, — ჩვენი უბედურებაც სწორედ მაგაშია, დედა, რომანა, ასეთი ცვალებადი და არასტაბილური რომ ვართ, როგორც გულშემატკივრები, ისე ჩვენი გუნდი, — მიაგნო საერთო სატკივარს თამარა დეიდა.

— ხვალ შეიძლება, დედა, ლენინგრადში ან კიროვადში წავაგოთ ხუთით ან ათით ნოლზე, არ გაგიკვირდეთ!

რა იცოდა თამარა დეიდა, რომ მის ამ ბედისწერასავით მწარე ნათქვამს ბეჭედს დაუსვამდნენ უკვე მერამდენედ ჩვენი არწივები და ვეფხვები!

როსტომ თიბიშვილი

რომანი მაჩიამ სვიუაკვზა

შოტლანდიის დედოფლის ტრაგიკული ცხოვრება ჩვენს მკითხველსა და მკითხველს პირველად ქართულმა თეატრმა გაცნო XIX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც თბილისსა და ქუთაისის თეატრების სცენაზე წარმოადგინოლი იქნა ფრ. შილერის „მარიამ სტიუარტი“.

შემთხვევითია არ იყო, რომ ქართული თეატრის რეპერტუარში თავიდანვე ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს შექსპირისა და შილერის პიესებმა. ჩვენს თეატრცოდნეობაში უკვე ცალკე შეისწავლება ქართული შექსპირიანა, ქართული შილერიანა... ამ ცნებებთან ქართული თეატრის რამდენი გამარჯვება დაკავშირებული! ამას ჰქონდა თავისი მიზეზი და ერთი მათგანი ალბათ ისიც იყო, რომ ხსენებულ დრამატურგთა პიესების ტრაგიკულ ფერადობაში ქართველ მკითხველს თავისი ერის ისტორიის ნახმევებიც ესმოდა.

ამ გარემოებამ უფრო ახლომდებდა აქცია ჩვენთვის შექსპირიც და შილერიც.

ახლახანს „მარიამ“ ქართულ ენაზე გამოცა გამოჩენილი ავსტრიელი მწერლის სტიუარტი ცვაიგის „მარიამ სტიუარტი“. ეს წიგნი ქართველმა მკითხველმა მიიღო როგორც კარგი კომენტარი იმისა, რაც სცენაზე, შილერისეულ სპექტაკლში მოუხმენია მას.

„მარიამ სტიუარტი“ ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანია. ამ თარში ცვაიგმა მართლაც შედევრები შექმნა; ამ ნაწარმოებებში ყველგან შთაბეჭედივი მხატვრული აღქმა წარსულისა შეთავსებული იყო თეორიულ ანალიზთან; ეს ერთი ფრიად საგულსხმომ თავისებურება იყო ცვაიგის სტილისა, და მარიამ სტიუარტზე დაწერილ წიგნშიც ეს ნათლად ჩანს.

თავის მხრივ სტიუარტი ცვაიგი ჩვენს მკითხველებში მუდამ ძალზე პოპულარული იყო. მისი ბრწყინვალე ნოველები „შიში“ და „ამოკი“ ჯერ ისევ ომამდე ითარგმნა. ამას მოჰყვა მისი „ბალზაკი“, „მაგელანი“, „ამერიკა“, „უკვდავების ხიზანი“, „ბრძოლა სამხრეთ პოლუსისათვის“, „მოუთმენლობა გულისა“, „დედგენდები“, „სახლი ზღვის პირას“, „ფანტასტიკური ღამე“, და ბოლოს „მარიამ სტიუარტი“.

მწერალმა ისტორიული ქრონიკებიდან და მშრალი საარქივო დოკუმენტებიდან შექმნა ცოცხალი და მიმზიდველი სახე ტრაგიკული ბედის ადამიანისა. მართლაც უცნაურია ამ ქალის ბიოგრაფია: ექვსი დღისა, როცა მას შოტლანდიის დედოფლად აცხადებენ, ჩვიდმეტი წლის ასაკში — საფრანგეთის დედოფალია და ინგლისის ტახტის პრეტენდენტი. მაგრამ როგორც ცვაიგი ამბობს, არც ერთ სტიუარტს დიდხანს და ბედნიერად არ უშეფა. ორი მეფე — იაკობ I და იაკობ III მოკლეს. ორი — იაკობ II და იაკობ IV ბრძოლის ველზე დაეცნენ, ორ მათ შთამომავალს კი ეშოფოტი არაგუნა ბედმა, მუდამ არეულობაში იყვნენ, არც მათ იცოდნენ რა იყო სიმშვიდე და არც მათმა ქვეყანამ.

რომანის ცენტრში დგას გაუთავებელი ბრძოლა ინგლისის დედოფალ ელიზაბედსა და მარიამ სტიუარტს შორის. ეს არის ბრძოლა პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმს შორის, ორ ბანაკს შორის, აღსავსე ურთიერთმტრობით, ვერაგობით, მთელი იმ გაუტანლობითა და მუხანათობით, რაც დამახასიათებელი იყო მეფეებსშეტი საუკუნის ინგლისის ისტორიისათვის. მწერალი საგულდაგულად მისდევს ამ ბრძოლის პერიპეტებს, მის ეპიზოდებს და აქ ნათლად ჩანს, რომ შოტლანდიის დედოფალს, ელისაბედთან შედარებით, უფრო რეაქციული პოზიცია უჭირავს. აქი ამიტომაც მარცხდება იგი — 1587 წელს მას ქალათმა თავი მოჰკვეთა ფოტერინგის ციხეში.

მარიამისა და ელისაბედის სახით ორი რელიგია ებრძოდა ერთმანეთს. ამიტომ, როგორც ცვაიგი ამბობს, პროტესტანტმა ავტორებმა მთელი დანაშაული მარიამ სტიუარტს გადააბარდეს, კათოლიკებმა კი — ელისაბედს. ამიტომაც უძნელესი და ურთულესი ამოცანა იდგა ცვაიგის წინაშე: მოწმეთა მთლიანად საპირისპირო ჩვენებათა უზარმაზარ ტომებში მას უნდა ეპოვნა სიმართლე, და მწერალმა ეს შესძლო. მან ელისაბედის მუხანათობაც გვაჩვენა და ისიც, რომ მარიამ სტიუარტის საქმე ისტორიულად განწირული იყო და ამიტომაც დამთავრდა ესოდენ ტრაგიკულად.

წიგნი თარგმნილია ნონა კალანდარიშვილის მიერ.

ალ. სიგუა

სტალინი ჰიქაიათუნი

მოხარება მკვირი

ერთი სამეფოს სატახტო ქალაქში ბაშის საწყობი გაძარცვეს.

წავიდნენ ვაჭარნი შაბთან საჩივრელად.

შაბმა მოუსმინა ვაჭართ, ბრძანა დაუყოვნებლივ მოეძებნათ მოპარული ბაშა და ქურდები სასტიკად დაეხაჯათ.

ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერც ბაშა იპოვეს და ვერც ქურდები.

მაშინ მივიდა შაბთან ვეზირი და უთხრა:

— ნება მიბოძე, მბრძანებლო, მე მოვძებნო.

— ნებართვა მიბრძანებია, — თქვა შაბმა.

ვეზირმა იმავ დღეს მთელი ქალაქი დაშაბათია.

უამრავი ხალხი შეიკრიბა სადილზე.

სანამ მასპინძლობას შეუდგებოდა, ვეზირმა მაგიდებს ჩამოუარა და ყველა იქ მსხდომთ სახეზე გულმოდგინედ დააკვირდა. შემდეგ შემადლებულზე შედგა და იქიდან თავი საყვედურით გადაიქნია.

— რა უსინდისოა ხალხი და რამხელა სისულელის ჩამდენია: როგორ გაბედეთ წვერზე მოპარულ ბაშაშერჩენილებმა თქვენს ვეზირთან სადილად გამოცხადება?!

ვერცთი მოასწრო ვეზირმა სიტყვის დამთავრება, რომ ათიოდე კაცმა ჩუმად გააპარა ხელი თავიანთ წვერებისაკენ.

— აი, ქურდები! ახლავე შეპართი! — ბრძანა ვეზირმა და უმაღ მიუთითა, ვინც უნდა შეებოქათ.

ცნობისმოყვარე მეზობელი

ერთი კაცი თავის მეგობარს წერილსა სწერდა. მეორე კაცი შიგ იცქირებოდა და კითხულობდა. შემჩინა ეს კაცმა. ითმინა, ითმინა და მერე თავის წერილში ჩაწერა: „მაპატიე, მეგობარო, მეტს ვეღარაფერს გწერ, რადგან ჩემს ზურგს უკან ერთი გაუთლელი ხეპრე დგას და კითხულობს რასა გწერ და რას არა“.

— თვითონა ხარ ხეპრეცა და გაუთლელიც! — იწყინა მოთვალთვალემ, — შენ არც არავინ გიუხრებს და არც მაგ წერილსა კითხულობს!

მოხარება მკვირი

ერთხელ ერთმა ძუნწმა თავის მეგობარს უთხრა: — ათასი რუპია მაქვს, რომლის ჩამარხვასაც ქალაქგარეთ ვაპირებ. ის ადგილი კი შენს გარდა არ მინდა სხვა ვინმეს ვუჩვენო.

მეგობრები ქალაქგარეთ გავიდნენ და იქ ფული ერთი ხის ქვეშ ჩაფლეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ძუნწი მივიდა იმ ადგილას და პირკატა ეცა — ფულიც გამჭრალიყო და კვალიც. „მისი წაღება ჩემი მეგობრის გარდა არავის შეეძლო. — გაიფიქრა მან. — მაგრამ თუ პირდაპირ ვკითხვ, უარზე დადგება“.

გაიფიქრა თუ არა ეს, მივიდა თავის მეგობართან და უთხრა:

— დიდძალი ფული ვიშოვე, მეგობარო, მინდა ისევე იმ ადგილას დავმალო. ძალიან კარგს იზამ, თუ ხვალ წამომყვები და მომხმარები.

მეგობარმა როგორც კი დიდძალი ფულის ამბავს მოჰყრა ყური, დამითვე მიიტანა მოპარული ფული და იმავ ადგილზე ჩაფლა.

მეორე დღით ძუნწი მივიდა იმ ხესთან და დიდად გაიხარა: თავისი დაქარგული ფული იქვე დახვდა.

გლახნი და განძი

ღარიბი გლეხი ავად გახდა. მიხვდა, რომ მისი სიკვდილის უამბა დაჰკრა, თავის შვილებს დაუძახა და უთხრა:

— შეიღებო, მე ვკვდები და მინდა გაგიმუღავნოთ: ჩვენს ბაღში განძი ჩავფალი. იქ ოქროც არი და ვერცხლიც. როცა მოკვდები, გადაბარეთ იქაურობა, განძი იპოვეთ და ნელ-ნელა ყიდეთ. უღრტენიველი და მშვიდი ცხოვრება გექნებათ სიკვდილამდე.

რამდენიმე დღის შემდეგ მოკვდა ბერიკაცი, შვილებმა დაძარცხეს. ორი დღის შემდეგ კი აიღეს ბარნიჩაბი და ბაღისკენ გასწიეს. მრავალ დღეს იწურეს ოფლი, იშრომეს, დაიქანცნენ, სულ გადაბარეს იქაურობა, მაგრამ განძის კვალსაც ვერსად მიაგნეს. წაუხდათ გუნება, მაგრამ რაღას იზამდნენ.

გავიდა დრო და მათმა ბაღმა დიდი მოსავალი მოიყვანა. გაყიდეს ძმებმა ხილი და კარგა ძალი ფული აიღეს.

მაშინდა გაიგეს მათ, თუ რას ნიშნავდა მამის სიტყვები:

— შრომის გარეშე არ არსებობს კეთილდღეობა. კაცი ბედს კი არ უნდა შეჰყურებდეს, არამედ თავის თავსა და ხედლებს.

სიტყვით მასიამოვნებელი

ერთმა პოეტმა ერთ მდიდარს თავის ლექსში ხოტბა შეასხა.

მდიდარს დიდად ენა და უთხრა პოეტს:

— ფული არა მაქვს, მეგობარო, მაგრამ ხორბალი, — აურაცხელი. ხვალ მოდი და რამდენიც გინდა, გამოგატან.

მეორე დღეს, რა რომ პოეტი მივიდა მასთან, გამოეგება მდიდარი და ჰკითხა:

— რატომ მოსულხარ?

პოეტმა უთხრა:

— გუშინ ხორბალს შემპირდი და წასაღებად მოველ.

მდიდარმა უპასუხა:

— შენ შენი სიტყვით მასიამოვნე, მე ჩემი სიტყვით. ხოლო ხორბალი რად უნდა მოგცე?

გაშეშმიშებული პოეტი უმაღ გაბრუნდა უპურ-მარილო მასპინძლისაგან.

პოეტი და მდიდარი

ერთხელ ერთ ღარიბ პოეტს მდიდრის გვერდით მოუხდა ჯდომა.

არ ეპრიანა მდიდარს უცნობი ქაბუკის მეზობლობა. ჰკითხა გამჭირდავად:

— მითხარ, ქაბუკო, რა მანძილია შენსა და ვირს შორის?

თვალთ გაზომა პოეტმა მანძილი მდიდარსა და თავის შორის და უთხრა:

— ბევრი არაფერი! გოჭნახევარი თუ იქნება.

ეზმაპი ქურდი

ცხენის პარვისას ქურდი დაიჭირეს. ცხენის პატრონმა თავად ისურვა ქურდობის შესწავლა და უთხრა მპარავს:

— თუ ცხენის პარვას მასწავლი, გაგიშვებ.

ქურდი დათანხმდა.

— უყურე და ისწავლე!

ქურდმა ელვის უმაღ შეკაზმა ცხენი, აუშვა ბოძიდან, მოახტა ზედ, ერთი დაჰკივლა და ცხენიც ისარივით გავარდა მთებისკენ.

და სანამ თვალს მიეფარებოდა, ესლა მიაწვდინა პატრონს:

— აბა, მშვიდობით იყავ! აი, ეგრე უნდა მოპარვა!

საზინელი სიზმარი

ერთხელ კაცმა სიზმარში ეშმაკი ნახა. სტაცა წვერში ხელი და მოსდო ყბაში:

ერთი თუ ორი!

ერთი თუ ორი!

იმდენ ხანს სცემდა, რომ გასავათდა. ბოლოს ცივ ოფლში გაწუწულს გამოეღვიძა. გამოეღვიძა და რას ხედავს: თავის წვერისთვის უტაცინა ხელი და თავისივე ლოყები ისე გაუხურებია, რომ ახლაც ეწვის.

გაეცინა კაცს თავის თავზე და გადასწყვიტა: ამის შემდეგ სიზმარში არასოდეს არ ეჩხუბნა.

ეზმაპი ყალი

ერთი კაცი ყალით მივიდა და შესჩივლა, რომ შინ ქისა დაქარგა. ყალი შეკრიბა მისი ოჯახის წევრები, ყველა მათგანს ერთნაირი ზომის ჩხირები დაუბრია და უთხრა:

— ხვალ დღით ქურდის ჯოხი ორი გოჯით გაიზრდება.

ქურდი შეშინდა და თავის ჩხირს ორი გოჯი სიგრძე წააჭრა.

ასე იპოვა მოხერხებულმა ყალი ქურდი.

გაყოფილებული დიდებული

ერთ კაცს დიდი თანამდებობა მისცეს. რა ეს მისმა მეგობარმა გაიგო, მისალოცად მივიდა.

დიდებულმა შეხედა მოსულს და გულწვილად ჰკითხა:

— ვინა ხარ და რატომ მოსულხარ?

მოსულს მწარედ გაეღიმა და უთხრა:

— რაკი ველარ მცნობ, გეტყვი: შენი ძველი მეგობარი ვარ. გავიგე, რომ დაბრმავებულხარ და სანახავად მოველ.

ყველასათვის გამოსადეგი სახმელი

ვირით მიმავალ კაცს აბგით მამალი მიჰყავდა. ერთ დუქანთან შეისვენა და მედუქნის ისეთი საქმელი სთხოვა, რომელიც მასაც ეყოფოდა, სახედარსაცა და მამალსაც.

მედუქნე დუქანში შევიდა და იქიდან ვეება ნესვი გამოიტანა.

— აი მგზავრო! გული შენ შექამე, ქერქი სახედარს დაუყარე, ხოლო თესლი მისი — ყველაზე ნუგბარი საქმელია მამლისთვის.

თარგმნა ლადო მრეწალაშვილმა.

საქ. სსრ კ. პარკისი
სახ. სახ. რესპუბ.

მეზაიქა



მეცხვარის ძაღლები და საპაერო ხაზაღები



რა ღირს კილო შექსპირი?

ციურიხის წიგნების მოვაკრე ფირმამ „შუნტეს-მა“ სულიერი საზრდოთი ვაჭრობის საქმეში ახალი სიტუვა თქვა: ფირმამ წიგნების გაყიდვა დაიწყო... წონით, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გაანთავისუფლოს საწყობები ჩაწოლილი წიგნებისაგან, ფირმის მენეჯერები კილო წიგნს ცხრა ფრანკად ჰყიდნენ.

დიდი ფორმატის წიგნების მოყვარულებმა მეტი თანხა უნდა გადაიხადონ — ცამეტი ფრანკი ყოველ კილოგრამში. ისე რომ, პატარა ფორმატით გამოსული შექსპირის გენიალური ქმნილებები გაცილებით უფრო იაფი ღირს, ვიდრე აგატა კრისტის დიდი ფორმატით გამოცემული რომანები.

ბინა შტატის საგადასახადო ინსპექციის აგენტები, რომლებიც ძალიან გულქვად ექცეოდნენ ხალხს.

ერთ დღეს ინსპექციის მუშაკები სახტად დარჩნენ, როცა ფერმერმა მათ 50 თვრამეტ-თვრამეტ კილოგრამიანი ტომრები ჩააბარა.

როგორც გამოიკვია, შურის მძიებელმა ეშმაკობას მიმართა: თავისი დავალიანება — 2.500 დოლარი ლითონის რაც შეიძლება წვრილ-წვრილ მონეტებად გადაახურდავა და ტომრების თრევით წელი მოსწყვიტა აგენტებს.



სასაუშემ და პოლიცია

ბანკოკის გარეუბანში მდებარე ბანკის ფილიალმა თავის შენობაში მოაწყო ელექტროსიგნალიზაცია, რომელიც პოლიციის უახლოეს განყოფილებასთან იყო დაკავშირებული. რამდენიმე ხნის შემდეგ გადაწყვიტეს ოფიციალურად გამოეცადათ რამდენად საიმედო იყო ეს სიგნალიზაცია. კომისიის წევრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა საგანგაშო სიგნალიზაციის ჩართვისთანავე ბანკის ფილიალში გულბეჭებით მოიხიზნა თეთრ ზალათში გამოწყობილმა ოფიციატმა, რომელსაც ლანგარზე დალაგებული პური, მაკარონი, სალათა და კომპოტი მოჰქონდა.

როგორც გამოიკვია, პოლიციის მახლობლად სასაუშემ ყოფილა. დროის დაზოგვის მიზნით, ბანკის ფილიალის თანამშრომლები თურმე პოლიციელებს მოელაპარაკენ და საჭიროების შემთხვევაში, საგანგაშო სიგნალიზაციის მეოხებით უკვეთავდნენ სასადილოში საუშემსა და სადილს.

გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით, ამერიკაში, უკანასკნელ ხანებში, ძალიან გავრცელდა განგსტერების მიერ თვითმფრინავების მოტაცება. შემფოთებული ამერიკული ავიოკომპანიები ათასგვარ გზებსა და მეთოდებს ეძებენ საპაერო მეკობრეებთან საბრძოლველად.

კერძო დეტექტივის სააგენტოს მენეჯერებმა ბლექმა წინადადება წამოაყენა, თვითმფრინავებში საგანგებოდ მოწვეული შეიარაღებული მცველები მეცხვარეების გაწვრთნილი ძალებით შეცვალონ. ამ წინადადებას სასურველი ნაყოფი გამოიღო. დაგეშილმა ძალებმა თვითმფრინავში სუნით მიაგნეს მგზავრებს, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ პისტოლეტებით და ასაფეთქებელი ნივთიერებებით.

როდესაც მფრინავთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბონერმა სურველი გამოთქვა ამ ექსპერიმენტში მიეღო მონაწილეობა, ძალებმა იგი თვალის დახმამებზეში განაიარადეს.

ავიაციის ფედერალურმა სამმართველომ გადაწყვიტა 25 აეროდრომისათვის შეიძინოს ოთხფეხა მცველები.

უოველ შაბათ-კვირას — ციხეში

ნიუ-იორკელი იურისტი რობერტ ჰენინგი პასუხისგებაში მისცეს იმის გამო, რომ გარეული აღმოჩნდა თაღლითების ჯგუფში, რომელიც მიწებით სპეკულაციას ეწეოდა. ზოგი ნაკვეთი — ორ-ორჯერ გაეყიდათ. ამ საქმეზე თურმე ჰენინგმა კარგად მოითხო ხელი და 250 ათასი დოლარი ჩაიჭიბა.

მოსამართლემ დაპატიმრებული კოლეჯის მიმართ არნახული ლმობიერება გამოიჩინა: ჰენინგს მიესაჯა ექვსი წელი, მაგრამ ციხეში ის მხოლოდ შაბათობითა და კვირაობით უნდა იჯდეს. კვირის დარჩენილი ხუთი დღე, როგორც მოსამართლემ განმარტა, ბრალდებულმა უნდა იმუშაოს „რათა ცოლ-შვილი შეინახოს“.

მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის, ამერიკაში პატიმარს სულ ცოტა, ოცი წლის ციხეს მინც უსჯიან.



საშინალი შურისძიება

კალიფორნიაში ერთმა ფერმერმა გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, რაიმეთი გაემწარე-

გარეკანის პირველ გვერდზე: დიდი იუბილე. მეოთხეზე: მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონები. მარცხნიდან — ა. ბლოვი, მ. ქორქია და ი. ედემუო. ფოტოები თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურშიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუხრაშვილი, დ. ნოღია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღაძე, უ. ჯაფარიძე.

სამ პა-ის გამომცემლობა

ტექნიკური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.


გადაეცა ახაწყობად 10/X-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/X-72 წ. ქაღ. ზომა 70x108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,7. საადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,4 ტირაჟი 51.100. შეკვ. № 3321. უფ 13537.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленича, 14.



ლ. თედიაშვილი და ვ. რიბალკო (თავისუფალ ქიდაობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი)



სპრინტერულ რბოლაში სტარტზეა მსოფლიოს ექსჩემპიონი ომარ ფხაკაძე (მარცხნიდან პირველი)




პრესკალაქის ეზოში გაზეთ „ლელოს“ სპეცკორესპონდენტი — ჯ. ჯაფარიძე.

XX ოლიმპიადა


მიუნხენი 1972 წ.

ფოტო გ. აკოფოვისა.

ოლიმპიურ სოფელში (მარცხნიდან მარჯვნივ): საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი მ. ხურცილავა, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეცკორესპონდენტი გ. აკოფოვი და ფეხბურთელი ი. საბო.



მიუნხენის ოლიმპიური სტადიონი. საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაცია ოლიმპიადის გახსნის აღლუმზე





ИНДЕКС 76056